ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge



გვ.5

## ზურაბ ჯაფარიძეს 2.000 ლარის გადახდა დაეკისრა

## გიორგი მჟავანაძის მიმართ ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო



გვ.5

ოთხშაბათი, 25 მაისი, 2022 №101 (8879) ფასი: 80 თეთრი

# „ივანიშვილისთვის სერიოზული შოკია, რომ რუსეთი უკრაინასთან ომს ვერ იგებს“



გვ.2

დავით ზურაბიშვილი: „პრეზიდენტი გვარამიას თუ შეიწყალებს, სერიოზულ პლუსში ჩაგვეთვლება ევროპაში და კანდიდატის სტატუსის მიღებაც გაადვილდება“





## „ნიკა გვარამიას მიმართ გამოტანილი განაჩენი დანაშაულია“



გვ.3

გედევან ფოფხაძე: „კობახიძე მოსამართლეებს გარანტიას აძლევს, გააგრძელონ უკანონო, პოლიტიკური დაკვეთების შესრულება და მათ დაიცავენ“



გვ.4

## კახა კემოკლიძე: „თუ საქართველო კანდიდატის სტატუსს ვერ მიიღებს, კატასტროფა იქნება“

## „ნაცმოძრაობას ჰგონია, რომ მათ ირგვლივ ტრიალებს მთელი მსოფლიო“



გვ.3

ამირან სალუქვაძე: „ოპოზიციისგან არ მესმის არაფერი იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც მოსახლეობას აწუხებს“

## პაატა იმნაძე: „მაიმუნის ყვავილის“ შემთხვევები მოიმატებს, მაგრამ არ მგონია, დიდი ეპიდემიის სახე მიიღოს“



გვ.4

## ირაკლი ღარიბაშვილი მოლდოვის პრემიერ-მინისტრს შეხვდა




გვ.2

## რას სთავაზობს საფრანგეთის საგარეო სამინისტრო უკრაინას ევროკავშირის კანდიდატის სანაცვლოდ



გვ.4

რა პროცესები მიმდინარეობს რეგიონში

**2** შალვა პაპუაშვილი: „აღარ საუბრობენ იმაზე, რომ სააკაშვილი უკანონოდაა დაპატიმრებული“

**6** მარიუპოლში სარდაფის ნანგრევების ქვეშ თითქმის 200 ცხედარი აღმოაჩინეს

**5** კაცი, რომელმაც ყოფილი ცოლი გაჩერებაზე დაჭრა, ციხიდან ახალი გამოშვებულია

**6** ბაიდენი: „უკრაინაში ქუჩებში მშვიდობიან მოქალაქეებს ხოცავენ“

# „ივანიშვილისთვის სერიოზული შოკია, რომ რუსეთი უკრაინასთან ომს ვერ იგებს“

## დავით ზურაბიშვილი: „პრეზიდენტი გვარამიას თუ შეიწყალებს, სერიოზულ პლუსში ჩაგვეთვლება ევროპაში და კანდიდატის სტატუსის მიღებაც გაადვილდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დავით ზურაბიშვილი პასუხობს.



***– ბატონო დავით, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? კანდიდატის სტატუსს ველოდებით ევროკავშირიდან და ამ ფონზე ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ერთმანეთს ასწრებს ლანძღვა-გინებასა თუ დასმენაში. ეს პროცესები რამდენად გვაზიანებს და მივიღებთ თუ არა კანდიდატის სტატუსს?***

– მე ველოდები, რომ კანდიდატის სტატუს მივიღებთ. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებაც არ იმსახურებს ამას, მისი პოლიტიკიდან გამომდინარე. კანდიდატის სტატუსზე ხარ წარდგენილი და კიდევ ევროპარლამენტარების ლანძღვით ხარ დაკავებული, ძირითადად ეს, რა თქმა უნდა, არაფერში არ ჯდება. ასევე, ასეთ დროს რომ დააპატიმრებ ერთ-ერთი წამყვანი ტელევიზიის ხელმძღვანელს, რა თქმა უნდა, ეს ცუდია და შესაძლოა, სერიოზული დაბრკოლება გახდეს. გეტყვით იმასაც, რომ კანდიდატობა, რა თქმა უნდა, წევრობას არ ნიშნავს. თურქეთი უკვე ძალიან დიდი ხანია კანდიდატია და წევრი ჯერ კიდევ ვერ გახდა. თუმცა კანდიდატობა მაინც ნიშნავს უფრო მეტ კონტროლს და მეტ მონიტორინგს. ასევე, მეტ ვალდებულებებს თვითონ საქართველოსგან. პრინციპში, ეს ყველაფერი განპირობებულია უკრაინაში ომით, გეოპოლიტიკური ვითარებით. ამით ევროკავშირი ეუბნება რუსეთს, რომ საქართველო არ არის შენი ტერიტორია. აი ეს მესიჯი დევს ამაში.

***– ანუ თქვენი მოლოდინი დადებითია?***

– ასეა. თუ რაღაც სასწაული სისულელე არ ჩაიდინეს ხელისუფლებაში, პრინციპში, ჩვენ სტატუსს მივიღებთ. ოპოზიციის პოზიციას რაც შეეხება, ოპოზიციაში, მე არ ვიტყვი, რომ ერთგვაროვანი აზრია, თუმცა წამყვანი რაც არის, ნაციონალური მოძრაობის და მის ორბიტაზე მყოფი პოლიტიკური ძალების მხრიდან, ამ შემთხვევაში ისინიც უფრო ძაბავენ სიტუაციას და ნაკლებად არიან მონდომებული, რომ მივიღოთ ეს სტატუსი.

***– არ უნდათ, რომ საქართველომ კანდიდატის სტატუსი მიიღოს?***

– მაგას ვერ ვიტყვი, რომ არ უნდათ, მაგრამ რაღაცნაირად უფრო ყურადღებას ამახვილებენ, რომ არ ვართ სტატუსის ღირსები და თუ არ მოგვცემენ, თქვენი ბრალი იქნებაო. თუმცა არიან პარტიები, იგივე გახარიას პარტია, ელისაშვილის პარტია, რესპუბლიკური პარტია და სტრატეგია აღმაშენებელი, რომლებიც ძალიან მკაფიოდ ითხოვენ, რომ პირიქით, მოგვენიჭოს ეს სტატუსი. მე რამდენადაც ვიცი, პარლამენტში ერთობლივი მიმართვაც მზადდება ოპოზიციური პარტიების. კარგი იქნება თუ ყველა ოპოზიციური პარტია ამას მოაწერს ხელს, ნაციონალური მოძრაობის ჩათვლით. ეს გარკვეულწილად, ხელისუფლების პროპაგანდას, რომ არ უნდა ოპოზიციას სტატუსი მივიღოთო, გააქარწყლებს.

***– ბრალდებებით ჩამოვიდა ბრიუსელიდან ღარიბაშვილი. საქმეს გვიფუჭებს ოპოზიციაო.***

– კი, გასაგებია და ამას რომ დამაჯერებელი პასუხი გაეცეს, ამისთვის გამოვიდეს ეს ოპოზიცია და ძალიან მკაფიოდ და ცალსახად, განცხადების სახით მიმართოს ევროკავშირს, რომ ჩვენ გვინდა კანდიდატის სტატუსი. მერე რამდენიც არ უნდა იძახოს ღარიბაშვილმა, არ უნდათო, მერე ამას ხალხი აღარ დაიჯერებს. ოპოზიცია რომ გამოდის და მხოლოდ იმის პროპაგანდას აკეთებს, ხელისუფლება რას აშავებს, ამ ფონზე ხელისუფლების ბრალდებებსაც ამიტომ აქვს გასავალი.

***– ოპოზიცია რამდენად არის დღეს მოწოდების სიმაღლეზე? ხელისუფლება რომ ასეთია, დიდ წილად ოპოზიციის ბრალიაო. თქვენ რას იტყვით?***

– დღეს ოპოზიციაში არ არის ერთგვაროვანი პოზიცია. ოპოზიციაში დღეს წამყვანი ტრენდი რაც არის, ეს არის არასწორი. ის, რომ წამყვანი ოპოზიციური ძალა ნაციონალური მოძრაობაა, ეს ერთი პრობლემაა. დღეს ნაციონალური მოძრაობა ებრძვის ამ ხელისუფლებას და მისი დამარცხება უნდა. 2012-ისთვის იბრძვის 2022-შიც.

***– ისევ წარსულში არიან?***

– დიახ, მთლიანად იმ წარსულში არიან. 2012 წლის მარცხი ჯერ კიდევ ვერა აქვთ გადატანილი და ისევ იმ მარცხზე უნდათ რევანში. მათი მიზანია, რომ ხალხი იმას კი არ განიხილავდეს, რომელი ძალა უფრო ცუდია, არა, ხელისუფლებაა ერთი დიდი ბოროტება და ყველა მის წინააღმდეგ უნდა გაერთიანდეს. საკუთარს ივიწყებენ. ხალხში კი ეს არ მუშაობს და არც იმუშავებს არასდროს. ვინც ნაცმოძრაობის მომხრე არა ვართ, ვერავინ ვერ დაგვაჯერებს იმას, რომ მათი მმართველობა იყო კარგი. ეს შეუძლებელია.

***– ისეთ მოცემულობას ქმნიან, რომ ცუდსა და უარესს შორის გააკეთოს ხალხმა არჩევანი.***

– სწორედ ამიტომ, თუ გვინდა, რომ ქვეყანაში ნორმალური პოლიტიკური პროცესები წავიდეს, მე მგონი, ამ ვითარებაში ნაცმოძრაობის გამოსწორება არ იქნება. მით უმეტეს, მიხეილ სააკაშვილი ციხეშია, კიდევ ცალკე პრობლემები დაემატათ, ამიტომ იმაზე ფიქრი, რომ ნაცმოძრაობაში მოხდება გარდატეხა და ისინი გადახედავ წარსულს და შეცდომებს, ეს არ მოხდება. აქ უფრო პრობლემაა ოპოზიციის მეორე ფლანგი, ის ვინც არ მიიჩნევს თავს ნაცმოძრაობად და მის მომხრედ. აქ სერიოზული პრობლემებია. ასეთ ამომრჩეველს ორიენტირი არა ყავს დიდი. არის გახარიას პარტია, რომელიც გამოირჩევა იმით, რომ ნამდვილად არ არის ამ აპოკალიფსს აყოლილი.

***– თუმცა იმასაც ამბობენ, რომ დაღმა სვლა დაიწყო გახარიას რეიტინგმა.***

– ესეც რთული სათქმელია. არ არის ახლა ხელსაყრელი პირობები ამ პარტიისთვის, ამ მოცემულ მომენტში. დაღმა სვლა დაიწყო თუ რას იზამს, ეს უკვე არჩევნების წინ გამოჩნდება. ისინი აშკარად ორიენტირებულნი არიან არჩევნებზე და მე რასაც ვუყურებ, საკმაოდ სალი პოზიცია უკავიათ ბევრი თვალსაზრისით. თუმცა მათ აქვთ თავის მინუსი და გარკვეულწილად ეს არის 20 ივნისი. ჩემი აზრით, ეს მაინც სერიოზული მინუსია. არის ელექტორატი, რომელსაც არ უნდა ნაცი, მაგრამ ამ 20 ივნისის გათვალისწინებით, არ უნდა არც გახარია. ამიტომ ეს ნაწილი ძალიან დაბნეულია, ვინც არც გახარიასკენაა და არც ნაცმოძრაობა უნდა. ასევე, აბსოლუტურად ნაცმოძრაობის დღის წესრიგით და მისი ლექსიკით მეტყველებს და პოზიციონირებს პარტია „დროა“ და „გირჩი-ჯაფარიძე“. აბსოლუტურად არანაირი განსხვავება არ არის მათ შორის. ამიტომ მათ ამომრჩეველი ვერ ასხვავებს და ნაცმოძრაობასთან აიგივებს. პროცესების ისტორიული ხედვა, ამათ ყველას აქვთ ერთნაირი. თუნდაც იგივე „ევროპულ საქართველოსაც“. თუნდაც „ლელო“ რომ ავიღოთ, რომელიც შემადგენლობის მხრივ ყველაზე არანაცურია, მაგრამ მათი განცხადებები ძალიან ხშირად თანხვედრაშია ნაცებთან. ამომრჩეველს არ უყვარს ნიუანსებში შესვლა, აფასებს განცხადებებით და თუ ვის გვერდით დგახარ, ვისთან არის თანხვედრილი შენი აზრები.

***– ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გამოდის, რომ ძალიან მომგებიან სიტუაციაშია „ქართული ოცნება“?***

– რასაკვირველია, „ქართული ოცნება“ ძალიან მომგებიან სიტუაციაშია, იმიტომ, რომ ის ძალიან მარტივად ახერხებს მიაწეროს ოპოზიციას, რომ ყველა არის ნაცი. ერთადერთი, ეს გახარიას პარტიას ვერ მიაკერა. მიუხედავად არაერთი მცდელობისა. ხალხის თვალში ისინი მაინც არ აღიქმებიან ნაცებად.

***– შეძლებს გახარიას პარტია 2024-ში სერიოზულად დაუპირისპირდეს „ოცნებას“?***

– არ ვიცი, ეს უკვე ბევრ რამეზეა დამოკიდებული. იგივე ის პარტიები, რომლებიც ჯერ კიდევ ცდილობენ საკუთარი თავის პოვნას, იგივე „სტრატეგია აღმაშენებელი“ იქნება, ალეკო ელისაშვილი თუ რესპუბლიკური პარტია, ასევე, ანა დოლიძე. ესენი თუ შეძლებენ რაიმეს ერთად გაკეთებას, კარგი იქნება. აი „ლელოს“ იმედი არ მაქვს. ისინი ერთი-ერთში იმეორებენ ნაცმოძრაობის გზავნილებს და ვერაფრით ვერ ხვდებიან იმას, რომ არანაც ამომრჩეველში უნდობლობას იწვევენ. ამ პარტიებმა, ვინც ჩამოვთვალე, უნდა შეძლონ ნაცმოძრაობის დღის წესრიგიდან გამიჯვნა და საკუთარი დღის წესრიგით მოქმედება.

***– რას იტყვით ხელისუფლების პოზიციებზე? რამდენად მკაცრი იქნება დასავლეთი მათ მიმართ? სააკაშვილს ახლა ნიკა გვარამიაც დაემატა. რა მოლოდინი გაქვთ?***

– მე დიდ სიმკაცრეს არ ველი სანამ კანდიდატის სტატუსი იხილება და სანამ უკრაინაში პროცესების გარდატეხა არ მოხდება ბოლომდე. ანუ, სანამ რუსეთის მარცხი არ იქნება უფრო გამოკვეთილი, მანამდე დიდ აქტიურობას და დიდ სიმკაცრეს არ ველი დასავლეთიდან საქართველოს ხელისუფლებაზე. როგორც ჩანს, ეს ხელისუფლებამაც შეატყო და აწყვეტილი აქვთ ბოლომდე. ყველამ ძალიან კარგად იცის, საქართველოს როგორი ხელისუფლება ჰყავს და რისი გამკეთებელია, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ დასავლეთშიც ძალიან კარგად იციან, ვისთან აქვთ საქმე, მათ არ უნდათ რაღაც ისეთი ჩაიდინონ, რაც საქართველოს ხელისუფლებას, ბიძინა ივანიშვილს პირადად და მის ამყოლებსაც უბიძგებს რუსეთისაკენ. მე რასაც ვუყურებ, ბიძინა ივანიშვილისა და საქართველოს ხელისუფლებისთვის სერიოზული შოკია ის, რომ რუსეთი ვერ იგებს ამ ომს. მათ აშკარად ჰქონდათ მოლოდინი, რომ რუსეთი იმარჯვებდა და ყველაფერი ამაზე ჰქონდათ აგებული. რადგან ასე არ გამოდის, ისინი ჯერ კიდევ არ არიან მზად ამ რეალობის მიღებისთვის. სწორედ ამიტომ, დასავლეთი უფრო მეტად ფრთხილობს. თორემ ამ ხელისუფლებაზე ძალიან კარგად იცის ყველამ ყველაფერი.

გვარამიას რაც შეეხება, თუ ამ კუთხით გართულდა ვითარება, ძალიან კარგად შეუძლია სალომე ზურაბიშვილს, ეს პრობლემა მოაგვაროს და გვარამია შეიწყალოს. ეს კი სერიოზულ პლუსში ჩაგვეთვლება იგივე ევროპაში. ამით კანდიდატის სტატუსის მიღებაც გაადვილდება.

***– არიან ამაზე წამსვლელები?***

– ეს სალომეს გადასაწყვეტია. იმის დაშვება, რომ ვთქვათ, უკრაინამ მიიღოს კანდიდატის სტატუსი და ჩვენ არა, ეს ძალიან მძიმე ამბავია საქართველოსთვის და ცუდ რაღაცებს გამოიწვევს. ამიტომ ამის დაშვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ამისთვის ყველამ უნდა ვიბრძოლოთ, რომ ეს არ მოხდეს. მათ შორის, პრეზიდენტმაც, რომელსაც აქვს ეს შესანიშნავი ბერკეტი. თუ ძალიან გაჭირდა, შეუძლია მას ამის გაკეთება. თუ საფრთხე დაემუქრება კანდიდატის სტატუსს, მე მჯერა, რომ სალომე მიიღებს ამ გადაწყვეტილებას და შეიწყალებს.

# ირაკლი ღარიბაშვილი მოლდოვის პრემიერ-მინისტრს შეხვდა




საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დავოსში ვიზიტის ფარგლებში მოლდოვის პრემიერ-მინისტრ ნატალია გავრილიცას შეხვდა.

ორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრებმა ევროკავშირის წევრობაზე საქართველოსა და მოლდოვის მიერ წარდგენილი განაცხადის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ევროკავშირში სრული ინტეგრაციისთვის საჭირო პრიორიტეტული მიმართულებები მიმოიხილეს. ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია ქართველი ხალხის ისტორიული არჩევანია.

აღინიშნა, რომ საქართველოსა და მოლდოვას მჭიდრო ორმხრივი ურთიერთობა და ასოცირებული ტრიოს ფორმატში მნიშვნელოვანი პარტნიორობა აკავშირებთ. ხაზი გაესვა არაერთი მიმართულებით ორი ქვეყნის შესაბამისი უწყებების წარმატებულ თანამშრომლობას და გამოითქვა მზაობა, არსებული თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდეს.

შეხვედრისას პრემიერ-მინისტრებმა დაადასტურეს მტკიცე ურთიერთმხარდაჭერა ორი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხში.

საუბარი შეეხო უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებს და რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გარემოს. ირაკლი ღარიბაშვილმა და ნატალია გავრილიცამ უკრაინელი ხალხის მიმართ საქართველოსა და მოლდოვის სოლიდარობა კიდევ ერთხელ დააფიქსირეს.

# შალვა პაპუაშვილი: „აღარ საუბრობენ იმაზე, რომ სააკაშვილი უკანონოდაა დაპატიმრებული“



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის განცხადებით, როდესაც საუბარია მიხეილ სააკაშვილის ქვეყნის ტერიტორიის გარეთ გაყვანაზე, ამის მიზანია, რომ მის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელი არ მოიხადოს.

როგორც პაპუაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, მას არსად მოუსმენია, რომ მიხეილ სააკაშვილს სათანადო სამედიცინო დახმარება საქართველოში არ უტარდება.

– კარგია, ბოლო პერიოდში რომ აღარ საუბრობენ იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილი უკანონოდ არის დაპატიმრებული. ყველა ნელ-ნელა ეგუება იმ აზრს, რომ როდესაც ადამიანი სანდრო გირგვლიანის მკვლელებს ხელს დააფარებს, ის უნდა დაისაჯოს.

როდესაც ადამიანი საქართველოს პარლამენტის წევრს ფაქტობრივად, სასიკვდილოდ აცემინებს, ის ადამიანი უნდა დაისაჯოს. მგონი, ამას უნდა შევეგუოთ.

რაც შეეხება მეორე საკითხს, სასჯელის მოხდის პირობებს და მათ შორის, ჯანმრთელობის კუთხით, როგორც კი დასჭირდა სააკაშვილს სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურება, იცით, რომ პენიტენციური სისტემა მისი პატიმრობის პირველივე დღიდან ამ სამედიცინო დახმარებას უწევდა ხან სასჯელაღსრულების მე-12 დაწესებულებაში, ხან თავად სასჯელაღსრულების სისტემაში შემავალ დაწესებულებაში, შემდეგ იყო სამოქალაქო კლინიკა გორში, ახლა მეორე სამოქალაქო კლინიკა თბილისში. ასე რომ, ყველა სამედიცინო მომსახურება მას გაეწევა.

მე, როგორც ვხვდები, მას ექიმების ან კლინიკის მიმართ არ გააჩნია პრეტენზია.

ხომ არ უნდა ამოვიდეთ იქიდან, უნდა დადგეს თუ არა გადაყვანა-არგადაყვანის საკითხი? უნდა ამოვიდეთ იქიდან, საერთოდ სჭირდება თუ არა მას რაიმე კვლევა, მომსახურება და რა სამედიცინო სერვისი გაეწევა.

ამ კუთხით, მე რაიმე შინაარსობრივი პრობლემის შესახებ არ მომისმენია, გარდა იმისა, რომ არის მცდელობა, მიხეილ სააკაშვილისთვის სასჯელის არიდებისა.

ქვეყნის ტერიტორიის გარეთ გაყვანა არის მიზანი, რომ მის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის მან სასჯელი არ მოიხადოს. თავს ნუ მოვიტყუებთ [რომ ეს არის სასჯელის გადავადება], – განაცხადა პაპუაშვილმა.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ნიკა გვარამიას მიმართ გამოტანილი განაჩენი დანაშაულია“

## გედევან ფოფხაძე: „კობახიძე მოსამართლეებს გარანტიას აძლევს, გააგრძელონ უკანონო, პოლიტიკური დაკვეთების შესრულება და მათ დაიცავენ“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო გედევან, თქვენთვის რა გზავნილი იყო ირაკლი კობახიძის განცხადება, რომელიც ნიკა გვარამიას მოსამართლეს უკავშირდება? ის ამბობს, რომ ნებისმიერ მოსამართლეს დაიცავს ხელისუფლება. ასევე სთხოვს ამერიკის საელჩოს განმარტებებს, რატომ მოხსნა სემინარიდან მოსამართლე ჩხიკვაძე.***

– ამ განცხადების ადრესატი მოსამართლეები არიან. ეს მორიგი გარანტიაა კობახიძის მხრიდან, რომ მათ ყველა უკანონო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ხელისუფლება დაიცავთ. გზავნილი ძალიან მარტივად წასაკითხია.

***– შეიძლება მეორე ადრესატიც ჰყავდეს განცხადებას? მაგალითად, ამერიკის საელჩო, რადგან – მოსამართლის სემინარზე არ დაშვება კონკრეტული გადაწყვეტილების გამო სისხლის სამართლის დანაშაულია, – განმარტავს ირაკლი კობახიძე.***

– არა, უფრო მგონია, რომ მოსამართლეების მისამართით გაკეთებული განცხადებაა, რომ მათ გააგრძელონ უკანონო, პოლიტიკური დაკვეთების შესრულება. მაგრამ ამ ადამიანებს უნდა ესმოდეთ, რომ ეს მთავრობა დროებითია. დღეს რომ არიან ხელისუფლებაში, ხვალ აღარ იქნებიან. ამერიკა, ევროპა და ცივილიზებული სამყარო კი მარადიულია. ხომ უნდათ ცხოვრება. თუ მოსამართლე დასავლეთის ქვეყნებში ვერ წავა, ვერ წავა ევროპაში, ამერიკაში, სად წავლენ, ჩრდილოეთ კორეაში?! როგორც ჩანს, ჩრდილოეთ კორეისკენ იმზადებენ გზას.

24 თებერვლის შემდეგ აშკარაა, რომ მსოფლიო შეიცვალა. პუტინის დამარცხების შემდეგ კიდევ უფრო შეიცვლება. უკვე ველარ იქნება სამყარო ასეთი. უკვე მხოლოდ დაბულინგებაზე ვეღარ იქნება საუბარი. ადამიანებს ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხი ნამდვილად მოეთხოვებათ. დიახ, დანაშაულია ის განაჩენი, რომელიც ნიკა გვარამიას მოსამართლემ გამოუტანა. ვის მოსწონს ნიკა გვარამია და ვის არა, ამაზე არ ვსაუბრობ. მე ვსაუბრობ საქმეზე, რომელიც პოლიტიკური დაკვეთაა და მეტი არაფერი. უკანონო დაკვეთის შესრულება და ადამიანის ციხეში გაშვება კი ნამდვილად არის დანაშაული. ეს ბულინგზე მეტია და ეს კარგად იცის კობახიძემ. ახლა, სხვა ამოცანა არ აქვს კობახიძეს, გარდა იმისა, როგორ გაუფრთხილდეს ამ მოსამართლეებს და როგორ დაიცვას ისინი, მაგრამ ამ ადამიანებს კარგად უნდა ესმოდეთ, რომ კობახიძე მუდმივად ვერ დაიცავს მათ. კანონზე უკეთესად მათ ვერავინ დაიცავს. ამიტომ ურჩევნიათ კანონი დაიცვან თვითონ.

***– თქვენ იყავით „ქართულ ოცნებაში“. ცნობილია, რომ თქვენი ხელისუფლებიდან წამოსვლის მიზეზი სწორედ სასამართლო სისტემის რეფორმა იყო. როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ შეძლო „ოცნებამ“ სისტემის რეფორმირება?***

– „ვერ შეძლო“ – არ არის სწორი შეფასება. ვერ შეძლო იმიტომ, რომ არ უნდოდა. არ იყო ეს ამ ხელისუფლების მიზანი. ისინი მიხვდნენ, რომ სააკაშვილის დროს უკანონო დავალების შემსრულებელი მოსამართლეები კარგად იყვნენ გამოცდილები და მათზე უკეთესად ამას ვერავინ ვერ შეასრულებდა.

***– მაშინ იყო ასეთი მოსაზრებაც, რომ ნებისმიერი შეასრულებდა ზემოდან წამოსულ დირექტივას. იყო ფიქრი იმაზე, რატომ მაინცდამაინც ეს კონტინგენტი. თქვენ რა პასუხი გაქვთ?***

– ეს ხალხი კარგად იყო დახელოვნებული უკანონო დაკვეთის შესრულებაში. რეფორმა სწორედ იმას გულისხმობს და იმას ნიშნავს, რომ მოვიდოდნენ ის ადამიანები, რომლებიც არ დაემორჩილებოდნენ არავის დაკვეთას. თავისუფალი ხალხი მოვიდოდა. კონკრეტულად რომ ვისაუბრო ნიკა გვარამიას საქმეზე, არა იმიტომ, რომ ნიკა ჩემი მეგობარია, არა, როგორ შეიძლება მხოლოდ იმიტომ გაუშვა ადამიანი ციხეში, რომ ის ვიღაცას ნერვებს უშლის. რომ მას განსხვავებული პოლიტიკური ხედვა, გემოვნება აქვს. განსხვავებულად უყურებს მოვლენებს და ამაზე ძალიან ღიად საუბრობს ტელეეთერიდან. მე და ნიკასაც ძალიან ხშირად გვიჩხუბია პოლიტიკიდან გამომდინარე, მაგრამ ამის გამო ციხეში უნდა წასულიყო?! ეს ხომ დანაშაულია.



რეფორმირებული სასამართლოს მოსამართლე, რომელიც თავისუფლად აზროვნებს, რომლისთვისაც კანონი, სამართლიანობა არის გადამწყვეტი, ამას ხომ არ გააკეთებდა?! ამიტომ თქვა თავის დროზე „ქართულმა ოცნებამ“ უარი რეფორმაზე. ძალიან მარტივად არის ყველაფერი. ვინც სასამართლოს რეალური დამოუკიდებლობისთვის ვიბრძოდით, შევეწირეთ კიდეც ამას. მე მაშინ მივხვდი, რომ ჩემი ადგილი „ოცნებაში“ არ იყო. მე სხვანაირად წარმომედგინა ყველაფერი, მათ სხვანაირად.

***– მამუკა მდინარაძემ ჟურნალისტებს უთხრა – როგორ ვერ ხედავთ განსხვავებას, სააკაშვილის დროს სასამართლო დარბაზი ჩაკეტილი იყო, ჟურნალისტი ვერ შევიდოდა. დღეს ღიაა, მოსამართლეებსაც წერთ და ა.შ. ეს რამდენად არის არგუმენტი?***

– ამბის გამომტანი იქნება თუ არა ვინმე, რა განაჩენი გამოუტანა ნიკა გვარამიას მოსამართლემ, ამას რა მნიშვნელობა აქვს?! ფაქტი ხომ მოხდა, მოსამართლემ დაკვეთა შეასრულა და გვარამია ციხეში გაუშვა. ეს არის სავალალო და საგანგაშო. ახლა კობახიძე ამ მოსამართლის დასაცავად, რა თქმა უნდა, ყველაფერს გააკეთებს. რადგან ამბის გამომტანი არის, ამის გამო სასამართლო უკეთესი გახდა?! სააკაშვილის დროს მამუკა მდინარაძე სისხლის სამართლის ადვოკატი იყო და კარგად ახდენდა საპროცესო გარიგებებს. მე, როგორც ადვოკატს, კარგად მქონდა გააზრებული, რომ სისხლის სამართლის საქმისთვის ხელი არ უნდა მეხლო.

სასამართლო ან არის თავისუფალი, ან არ არის. ნახევრად თავისუფლება არ არსებობს. რა მნიშვნელობა აქვს, შალვა რამიშვილის მიმართ გამოიტანს სასამართლო პოლიტიკურ გადაწყვეტილებას თუ ნიკა გვარამიას მიმართ. სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა შენ რა გაწყობს რა დროს, ამის მიხედვით არ არის. ჩემი მეგობარი რომ არის ნიკა გვარამია, ეს არ ნიშნავს, რომ შალვა რამიშვილი არ დავიცვა ნებისმიერ დროს.

***– ამ კონკრეტული მოსამართლის სემინარიდან მოხსნა მოსამართლეებზე გავლენას რამდენად იქონიებს? დაფიქრდებიან?***

– დაფიქრებით ალბათ ყველა დაფიქრდება, მაგრამ გარიგება მოხდა. ეს ადამიანები უვადო მოსამართლეები გახდნენ იმიტომ, რომ ხელისუფლების მიმართ ლოიალურები ყოფილიყვნენ, დაკვეთა შეესრულებინათ.

სიმართლე გითხრათ, 2012 წელს, როდესაც პოლიტპატიმრების შესახებ კანონს ხმა მივეცი, ვერ წარმოვიდგენდი, რომ ეს მოსამართლეები ციხეში თუ არა, სახლში მაინც არ წავიდოდნენ, მაგრამ უვადო მოსამართლეები გახდნენ. ხომ გახსოვთ ირაკლი კობახიძის ფრაზა – მაშინ ცუდები იყვნენ, ახლა კარგები გახდნენ. როდესაც შალვა რამიშვილს იჭერდნენ, ცუდები იყვნენ, მაგრამ როდესაც ნიკა გვარამიას იჭერენ, კარგები არიან. ასე ესმის კობახიძეს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი სასამართლო სისტემა.

# „ნაცმოძრაობას ჰგონია, რომ მათ ირგვლივ ტრიალებს მთელი მსოფლიო“

## ამირან სალუქვაძე: „ოპოზიციისგან არ მესმის არაფერი იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც მოსახლეობას აწუხებს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.



***– ბატონო ამირან, პრემიერის ვიზიტთან დაკავშირებით აურზაური იყო. ჯერ გადაიდო ღარიბაშვილის შეხვედრა ნატოს გენმდივან სტოლტენბერგთან, შემდეგ კი შეხვდნენ. სანამ შეხვედრა შედგებოდა, საქართველოში აჟიოტაჟი იყო და გარკვეული ვარაუდები გამოითქვა. რამ გამოიწვია ეს?***

– რა, ნაცმოძრაობის სიხარული თუ შეხვედრის გადადება?!

***– ვიზიტის დროს სტოლტენბერგთან შეხვედრის შეფერხება ნიკა გვარამიას დაპატიმრებას დაუკავშირეს. შეხვედრა გადაიდო, რადგან პრემიერის ვიზიტის წინ გვარამია დააპატიმრესო.***

– საერთოდ, ქართველებს კი გვგონია, რომ დედამიწა ჩვენ ირგვლივ ტრიალებს, ჩვენ ვართ მთავარი ღერძი. ნაცმოძრაობას ჰგონია, რომ მათ ირგვლივ ტრიალებს მთელი მსოფლიო, მთელი სამყარო. არ მინდა ცალკეული პატიმრების მიმართ ვისაუბრო ირონიულად, მაგრამ, რეალურად, ასეთი წარმოდგენა აქვთ.

წარმოიდგინეთ, რა ხდება მსოფლიოში უკრაინის ომის გამო. ჯერ ცალკე ეს პრობლემა, უკრაინის მხარდაჭერა და ა.შ. ზოგადად, გლობალური უსაფრთხოების პრობლემები ემატება ნატოში ორი ახალი წევრის – ფინეთისა და შვედეთის მიღების საკითხი. წარმოიდგინეთ, როგორი დიდი ორგანიზაციაა ნატო, რომელმაც ამ დღეებში რამდენიმე ფორუმი ჩაატარა. ნატოს მინისტერიალი ჩატარდა, საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა მოეწყო. წარმოიდგინეთ, ნატოს გენმდივნის განრიგი და გვარამიათია დაკავებული?! უბრალოდ, სასაცილოა!

მესმის, რომ შიდა პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნა უნდათ, თავიანთ მაყურებელზე, მომხმარებელზე არიან ორიენტირებულები, მაგრამ თავსაც ნუ გაიმასხარავებენ. ეს საკითხის ერთი მხარეა. მეორე მხარეა ის მავნებლობა, რასაც მუდმივად ჩადიან.

ახლაც იგივე სიტუაციაა: გაუხარდათ, რომ შეიძლებოდა ნატოს გენმდივანი არ კი არა, ვერ შეხვედროდა პრემიერ ღარიბაშვილს, რომელსაც ძალიან დატვირთული ვიზიტი ჰქონდა როგორც ნატოში, ასევე ევროკავშირში. ნატოსა და ევროკავშირში უამრავ თანამდებობის პირს შეხვდა. შეხვდა უამრავ ადამიანს. მათ შორის, პირველ პირებს.

მედიას გადახედონ, რას წერენ სტოლტენბერგის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. სტოლტენბერგმა კოვიდი გადაიტანა. მთელმა მსოფლიომ იცის.

სტოლტენბერგი ნატოს წევრი ქვეყნების (ჩვენ ხომ არ ვართ ნატოს წევრი ქვეყანა) მინისტრებს ვერ შეხვდა და ონლაინ ჩაერთო, რადგან ეს კოვიდის პირობებში ხდებოდა, ადამიანს კოვიდი ჰქონდა. ისიც ჩვეულებრივი ადამიანია. რაღაც გართულებები ჰქონდა, შეხვედრა იყო დაგეგმილი და, მისი ფიზიკური მდგომარეობის შესახებ, საქართველოს დელეგაციას ოფიციალურად მიაწოდეს ინფორმაცია.

შემდეგ შეხვედრა მოხერხდა. ეტყობა, ადამიანმა შეძლო შეხვედრა. სტოლტენბერგმა ნატოს შტაბბინაში მისვლა ვერ მოახერხა და ღარიბაშვილი საცხოვრებელ რეზიდენციაში მიიღო. დაუფიქრდით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი სახლში მიიღო, სადაც სტოლტენბერგი ცხოვრობს. ანუ მათ ყიჟინა დასცხეს შეხვედრის გადადების გამო, გაუხარდათ ამ დივერსანტებს.

***– დივერსანტებს?***

– დიახ, დივერსანტები არიან. ოპოზიცია არ არის. მათგან არ მესმის არაფერი, ვთქვათ, საგარეო ან იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც მოსახლეობას აწუხებს – პროექტებს წარმოადგენდნენ, ჩართული რომ იყვნენ პროექტების განხილვაში, ან კონსტრუქციული იყვნენ. არ მინდა კონსტრუქციულობა, მწვავედ დაპირისპირებულები იყვნენ, ოღონდ ხალხზე ზრუნვაში, რაღაც პროექტების განხორციელებაში.

ორი დღის წინ, მმართველი პარტიის წარმომადგენელი ერთ-ერთ ოპოზიციონერთან ერთად გამოვიდა და პენსიონერების სესხის პროცენტის დაწევაზე განცხადება გააკეთეს, რადგან ერთობლივი ინიციატივა იყო და ვისაც აწუხებდა, ყველამ ხმა მისცა. კაბალური პროცენტები 26%-მდე ჩამოვიდა, რაც პენსიონერებისთვის ნორმალური პროცენტია რისკებიდან გამომდინარე. ოპოზიცია ასეთ საკითხებზე უნდა იყოს ორიენტირებული.

***– ასეთი მაღალი დონის ვიზიტები ხომ წინასწარ იგეგმება. თუ სხვა მიზეზი იყო და არა გენმდივნის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, მაშინ შეხვედრა წინასწარ არ გადაიდებოდა?***

– მხოლოდ სტოლტენბერგთან არ იყო შეხვედრა. ღარიბაშვილი შეხვდა შარლ მიშელსა და სხვებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, პრიორიტეტული შეხვედრა ნატოში გენერალურ მდივანთან იყო. რომც ვერ შეხვედროდა ჯანმრთელობის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თურქული კომპანია „ლიმაკ ჰოლდინგის“ თავმჯდომარეს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დავოსში ვიზიტის ფარგლებში თურქული კომპანია „ლიმაკ ჰოლდინგის“ თავმჯდომარეს ებრუ ოზდემირს შეხვდა. მთავრობის მეთაურმა „ლიმაკ ჰოლდინგის“ თავმჯდომარეს საქართველოში არსებული ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოს გასაცნობად საქართველოში მიიწვია.

საუბარი შეეხო თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებს, მათ შორის ევროკავშირთან, ჩინეთთან, ისევე, როგორც რეგიონის ქვეყნებთან, რაც საქართველოს არაერთ მსხვილ ბაზარზე თავისუფალი წვდომის საშუალებას აძლევს.

აღინიშნა საქართველოს, როგორც რეგიონული სატრანზიტო ჰაბის როლი და ამ მიმართულებით განვითარების პერსპექტივები.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის სწორი პოლიტიკის შედეგად, პოსტპანდემიურ პერიოდში ეკონომიკამ სწრაფი ტემპებით დაიწყო აღდგენა.

კომპანიის საქმიანობას სამშენებლო, ტურიზმის, ინფრასტრუქტურის, ავიაციის, კვების სფეროს და ენერგეტიკის მიმართულებით ახორციელებს და თურქეთის ეკონომიკის ზრდასა და პოპულარიზაციაში დიდი წვლილი შეაქვს.

საქართველოში არსებული ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო და საქართველოს მულტიფუნქციურ რეგიონულ ჰაბად გარდაქმნის სტრატეგია იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და „სიტიბანკის“ საბანკო, კაპიტალის ბაზრებისა და მრჩეველთა თავმჯდომარის მოადგილე ჯეი კოლინზის შეხვედრის მთავარი განსახილველი საკითხები.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ მთავრობა საქართველოს მულტიფუნქციურ რეგიონულ ჰაბად გარდასაქმნელად მუშაობს და სტრატეგიის პირველადი დოკუმენტი უკვე შემუშავებულია.

შეხვედრისას აღინიშნა, რომ საქართველოში არსებულ ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოზე არაერთი გავლენიანი ანალიტიკური კომპანიების რეიტინგები მოწმობს.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ საქართველო სანდო და სტაბილური ბიზნესპარტნიორია და „სიტიბანკის“ დელეგაცია საინვესტიციო გარემოს შესასწავლად საქართველოში მიიწვია.

„სიტიბანკი“ უმსხვილესი ამერიკული ბანკია, რომელსაც ფილიალი მსოფლიოს 19 ქვეყანაში აქვს, მათ შორის აშშ-ში, მექსიკაში, დიდ ბრიტანეთში, ინდოეთში, უნგრეთში, პოლონეთსა და ირლანდიაში. 2021 წელს ბანკის შემოსავალმა 72 მილიარდ დოლარამდე შეადგინა.

დავოსში, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში, ტრადიციულად ფორუმის დამფუძნებლისა და აღმასრულებელი თავმჯდომარის, პროფესორ კლაუს შვაბისა და მისი მეუღლის, ჰილდე შვაბის მიერ ორგანიზებული მიღება გაიმართა.

მიღებას მსოფლიო ლიდერებთან და წამყვანი კომპანიების ხელმძღვანელებთან ერთად საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრო.

# რას სთავაზობს საფრანგეთის საგარეო სამინისტრო უკრაინას ევროკავშირის კანდიდატის სანაცვლოდ

## რა პროცესები მიმდინარეობს რეგიონში

მარიამ მჭედლიშვილი

სხვადასხვა პოზიციაზე მყოფი ანალიტიკოსები თანხმდებიან, რომ უკრაინაში მიმდინარე ომი ერთი კომპონენტია იმ ურთულესი პროცესებისა, რომლებმაც მოიცვა მსოფლიო, განსაკუთრებით კი, ევრაზია.

რუსეთის შეჭრამ უკრაინაში დააჩქარა უკრაინის მიერ განაცხადის შეტანა ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაზე. ამას მოჰყვა საქართველოსა და მოლდოვას ანალოგიური განაცხადები. სამივე ქვეყანა ივნისში ელის ევროკომისიის შეფასებებს შევსებულ კითხვარზე და პასუხს ბრიუსელისაგან. გეოპოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით, წესით, სამივე ქვეყანას კანდიდატის სტატუსის მიცემა არ უნდა დაუმუხრუჭონ. თუმცა, სიტუაცია არც ისეთი მარტივია.

ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის, საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს თავისი სკეპტიკური დამოკიდებულება არ შეუცვლიათ. კვლავინდებურად კეთდება განცხადებები, რომ უკრაინა კარგა ხანს ვერ გახდება ევროკავშირის წევრი. უნდა ვივარაუდოთ, რომ მკაცრი მიდგომა საქართველოსა და მოლდავეთზეც ვრცელდება.

### „თავისუფალი გადაადგილება ევროპაში და „ევროპული ბიუჯეტი“?

— უნდა ვიყოთ გულახდილები. თუ ვინმე ამბობს, რომ უკრაინა ევროკავშირში შევა ნახევარი წლის, ერთი, ან ორი წლის შემდეგ, — ის ცრუობს. ეს შესაძლებელია მხოლოდ 15-20 წლის შემდეგ. იმისთვის, რომ უკრაინა გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი, მას დიდი დრო სჭირდება, — აცხადებს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის საქმეთა სახელმწიფო მდივანი კრისტიან ბონი.

იგი ეხება პრეზიდენტ მაკრონის ინიციატივას უკრაინისა და მისი მსგავსი ქვეყნებისათვის სპეციალური ევროპული ორგანიზაციის-თანამეგობრობის შექმნას. მისი განმარტებით, ეს თანამეგობრობა არ გახდება უკრაინისათვის დაბრკოლება მომავალში ევროკავშირში შესასვლელად. უახლოეს ხანში უკრაინას (უკრაინის მოქალაქეებისთვის) შეუძლია მიიღოს ევროპაში თავისუფალი გადაადგილების უფლება და „ევროპული ბიუჯეტი“ ეკონომიკის აღდგენისა და განვითარებისათვის.




### მოლდოვას თავდაცვისთვის იარაღს აძლევენ. როგორ ხვდებიან ამას ქვეყანაში?

გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინაში ომის პირობებში დასავლეთი შეიარაღებას მოლდოვასაც მიაწვდის. ამასთან, ცოტა ხნის წინ მოლდოვას პრემიერმა ნატალია გავრილიცამ განაცხადა, რომ კიშინიოვს გადაწყვეტილი აქვს შეინარჩუნოს თავისი ნეიტრალური სტატუსი. მისი თქმით, დაინტერესებული მხარეები ცდილობენ ქვეყნის ჩათრევას არასასურველ ომში, თუმცა მოლდოვას ხელისუფლება აპირებს დიალოგის გაგრძელებას კონფლიქტურ დნესტრისპირეთთან და იმედოვნებს, რომ მოახდენს ამ ტერიტორიის მშვიდობიან ინტეგრაციას.

ივნისის ნატოს სამიტზე, რომელიც მადრიდში გაიმართება, ახალ კონცეფციაში რუსეთის მოქმედებები შეფასდება, როგორც პირდაპირი საფრთხე. ამის გარდა, განხილული იქნება დახმარების საკითხი რუსეთის მეზობელი ქვეყნებისათვის. საუბარია იმ სახელმწიფოების ეფექტიან მხარდაჭერაზე, რომლებიც მოწყვლადები არიან რუსეთის მხრიდან იძულებისა და აგრესიის მიმართ.

შესაძლოა, მოლდოვას მიმართ დახმარება ამ გეგმებში ჯდებოდეს. ინფორმაციამ სამხედრო დახმარებაზე მოლდაველ ოპოზიციონერ პოლიტიკოსებში მღელვარება გამოიწვია. სოციალისტების პარტია ამ თემაზე გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრ ლიზ ტრასის განცხადებას ეხმაურება და გმობს. ლიზ ტრასმა განაცხადა, რომ აუცილებელია მოლდოვას რესპუბლიკისათვის ნატოს ქვეყნებიდან შეიარაღების მიწოდება იმისათვის, რომ შეაჩერონ პუტინის შეჭრა.

— განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს, რომ ეს სიტყვები გახმიანდა მოლდოვას რესპუბლიკის ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებთან განხილვის გარეშე, — აცხადებენ სოციალისტები.

ოპოზიციონერების აზრით, ამგვარი განცხადებები ძაბავს ვითარებას ქვეყანაში. მათივე თქმით, თუ ამ საკითხზე კულისებში გარიგება მოხდა, მაშინ მოლდოვას ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამაზე განმარტებები უნდა გააკეთონ.

### რა პროცესები ვითარება აღმოსავლეთში?

მსოფლიოს ყურადღება ამ დღეებში უკრაინის გარდა, ტაივანმაც მიიპყრო. აშშ-ის პრეზიდენტის სიტყვებმა აუცილებლობის შემთხვევაში ტაივანისათვის სამხედრო დახმარების გაწევის შესახებ, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. თეთრ სახლში განმარტეს, რომ აშშ „ერთი ჩინეთის პოლიტიკის“ ერთგულია, მხარს უჭერს მშვიდობას და სტაბილურობას, ამასთან, ტაივანთან ურთიერთობის კანონის ფარგლებში მზად არის, მისცეს ტაივანს სამხედრო შესაძლებლობები. პეკინმა აღშფოთების გამოხატვასთან ერთად დასძინა, რომ ტაივანი ჩინეთის განუყოფელი ნაწილია და მასთან რაიმე შეთანხმებები უკანონოა.

ჩინეთმა სამხრეთ ჩინეთის ზღვასთან მოაწყო სამხედრო წვრთნები და განახორციელა ტაივანის კუნძულზე შეჭრის იმიტაცია. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ამერიკის მუქარის საპასუხოდ, პეკინი ეკონომიკურ ზომებს მიიღებს.

# კახა ქემოკლიძე: „თუ საქართველო კანდიდატის სტატუსს ვერ მიიღებს, კატასტროფა იქნება“

ეს იქნება კატასტროფა, განსაკუთრებით იმ ფონზე, თუ უკრაინას და მოლდოვას მიანიჭეს კანდიდატის სტატუსი. ჩვენ ვიყავით ჩემპიონები, რა უკრაინა და რა მოლდოვა?



ამის შესახებ პარტია „საქართველოსთვის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, კახაბერ ქემოკლიძემ, „პალიტრანიუსის“ გადაცემა „ნიუსრუმში“ განაცხადა, რითაც გამოეხმაურა წამყვანის შეკითხვას იმის შესახებ, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირი საქართველოს კანდიდატის სტატუსს არ მიანიჭებს.

ქემოკლიძის შეფასებით, თუკი საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი არ მიანიჭეს, ეს იქნება „ქართული ოცნების“ უპასუხისმგებლობის ბრალი.

— ორივე [უკრაინა და მოლდოვა] გარკვეულწილად რკინის ქალამნით გვყავდა ჩაბმული. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ეს თუ მოხდა, ეს იქნება „ქართული ოცნების“ უდიდესი უპასუხისმგებლობის პირდაპირი პრაქტიკული შედეგი და ამისთვის საქართველოს მოსახლეობამ ის აუცილებლად უნდა დასაჯოს. შემდეგ არჩევნებზე, როცა არ უნდა იყოს, „ქართული ოცნების“ დემაგოგიურ ფილოსოფიას უნდა დავუპირისპიროთ სიმართლე. გონიერ ელექტორატს, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს უნდა ავუხსნათ, „ქართული ოცნება“ რომ გეუბნებოდათ ამას და ამას, ოთხივე აღმოჩნდა ტყუილი, — განაცხადა ქემოკლიძემ.

ის ასევე გამოეხმაურა ბოლო პერიოდში დასავლელი პოლიტიკოსების მხრიდან საქართველოს ხელისუფლების კრიტიკის საპასუხოდ კულტურის მინისტრის, თეა წულუკიანის გაკეთებულ განცხადებებს.

— ამას წინათ ქალბატონი წულუკიანის განცხადებას ვუსმენდი და მეღიმებოდა. ის ისეთი „გონორით“ საუბრობდა, რომ თურმე „ვიღაც ფონ კრამონები და იან კელები ჭკუას გვარიგებენო“. შენ რომ იყო საფრანგეთი, ბრიტანეთი ან გერმანია — ეს ღრმა ინსტიტუციურად განვითარებული ქვეყნები, სადაც, შესაძლოა, პოლიტიკური ლიდერები მიდიან და მოდიან, მაგრამ ინსტიტუციები რჩებიან, ნამდვილად არ მიიღებდი არც ვიოლა ფონ კრამონის შენიშვნას, არც იან კელის და არც ნებისმიერი სხვა დასავლელის, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენ არც საფრანგეთი ვართ, არც გერმანია და არც ბრიტანეთი. კიდევ ბევრი გვაქვს გასავლელი, რათა ამ ხარისხს მივაღწიოთ.

სამხრეთ კავკასიაში ხარ ქვეყანა, რომელიც რეალურად ყველა მხრიდან მოწყვლადი ხარ. ამ დროს, როგორ შეიძლება, შენს სტრატეგიულ მოკავშირეებს ძირი გამოუთხარო და შეგნებულად თუ შეუგნებლად რუსეთს მიეწებო?

ჩემი ყოფილი კოლეგები უსაფრთხოების სისტემაში, რუსეთის „ეფ-ეს-ბეს“ წარმომადგენლები, რომლებიც დღეს საქართველოს კურირებენ, დარწმუნებული ვარ, რომ „კოკა-კოლით“ და პოპკორნით გვიყურებენ ბედნიერი სახეებით იმის გამო, რომ საქართველოს მიწაზე „ქართული ოცნება“ მათ საქმეებს აკეთებს, თანაც ისე, რომ მინიმალური რესურსის დახარჯვა უწევთ და, საბოლოო ჯამში, ბედნიერები არიან, რომ, როდესაც უკრაინაში გაგანია ომია ცივილიზებულ სამყაროსა და რუსეთს შორის, დღეს, ფაქტობრივად, საქართველოს ხელისუფალნი აკეთებენ რუსულ საქმეს.

ეს მძიმე რეალობაა, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ შეგნებულად თუ შეუგნებლად შექმნა, — განაცხადა კახაბერ ქემოკლიძემ.

# პაატა იმნაძე: „მაიმუნის ყვავილის“ შემთხვევები მოიმატებს, მაგრამ არ მგონია, დიდი ეპიდემიის სახე მიიღოს“

— თანამედროვე პირობებში ყვავილის გაჩერება არ არის ძალიან ძნელი, იმიტომ, რომ ისეთი გადამდები არ არის, როგორიც კორონავირუსი იყო — ალბათ, „მაიმუნის ყვავილის“ შემთხვევები მოიმატებს, მაგრამ არ მგონია, დიდი ეპიდემიის სახე მიიღოს.

ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილემ, პაატა იმნაძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა.

მისივე თქმით, „მაიმუნის ყვავილი“ ახალი არ არის და ის გასული საუკუნის 70-იან წლებში არის აღმოჩენილი.

იმნაძის განმარტებით, ყვავილების საწინააღმდეგო ვაქცინა არსებობს და ის „მაიმუნის ყვავილზეც“ საკმაოდ ეფექტიანია.

— ყვავილზე აცრა 1980 წლის მერე დედამიწაზე აღარ ხდება. ყვავილის ვაქცინა არსებობს და „მაიმუნის ყვავილის“ ვირუსისგანაც საკმაოდ ეფექტიანად იცავს. თუ საჭირო გახდება, ეს ვაქცინა არსებობს, მსოფლიოს მისი წარმოების პოტენციალი გააჩნია, ასე რომ, დიდ გართულებებს არ ველი, თუმცა, რა თქმა უნდა, ელემენტარული ჰიგიენური ნორმების დაცვა აუცილებელია, — აღნიშნა პაატა იმნაძემ.

„მაიმუნის ვირუსი“ ძირითადად აფრიკაში არის გავრცელებული. მისი ორი ვარიანტი არსებობს: ცენტრალურ-აფრიკული და დასავლეთ-აფრიკული.

იმნაძის განცხადებით, ევროპის ქვეყნებში გავრცელებულია დასავლეთ-აფრიკული ვარიანტი, რომელიც უფრო მსუბუქი მიმდინარეობით ხასიათდება, ვიდრე ცენტრალურ-აფრიკული.

მისივე თქმით, ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში დადასტურებული 100-მდე შემთხვევიდან მძიმე მიმდინარეობის არც ერთი ყოფილა.

— აფრიკის მონაცემებით, დასავლეთ-აფრიკული ვარიანტის ლეტალობა დაახლოებით, 1%-ია, იმიტომ, რომ იქ, პრაქტიკულად, სულ არის ხოლმე შემთხვევები. ცოტა უფრო მძიმე მიმდინარეობა ცენტრალურ-აფრიკულ ვარიანტს ახასიათებს. იქ ლეტალობა შეიძლება, 10%-მდეც ადიოდეს.

ჯერჯერობით, 100-მდე შემთხვევიდან, რაც ევროპასა და ამერიკაში არის დადასტურებული, არც ერთი არ ყოფილა მძიმე მიმდინარეობის, არც ერთი გარდაცვალება არ ყოფილა. უნდა დავაკვირდეთ სიტუაციას. მთელი მსოფლიო, ჩემი კოლეგები დაკვირვების რეჟიმში ვართ, — განაცხადა მან.

პაატა იმნაძის განმარტებით, მსგავს დაავადებებზე საქართველოში ზედამხედველობის სისტემა „კარგად არის აწყობილი“.

მისივე განმარტებით, „მაიმუნის ყვავილთან“ დაკავშირებით საშიში არაფერია და ამ დროისთვის, „განგაშის სიგნალი“ იმ ქვეყნებშიც კი არ არის ჩართული, სადაც ეს დაავადება გამოვლინდა.

— შიში არასოდეს არ არის კარგი. ჯერჯერობით არ უნდა გვეშინოდეს, საშიში ნამდვილად არაფერი არ არის. 2 დღის წინ დავბრუნდი ევროპის დაავადებათა კონტროლის ცენტრიდან. იქ, სადაც ბევრი შემთხვევაა ევროპაში — იგივე ესპანეთში, პორტუგალიაში, დიდ



ბრიტანეთში, იქაც კი არ არის ჯერჯერობით განგაშის მაღალი საფეხურები ჩართული. არაფერი ახალი არ არის.

მაიმუნის ყვავილი 70-იან წლებში არის აღმოჩენილი.

როდესაც დედამიწაზე „ნატურალური ყვავილის“ ვაქცინაციის საშუალებით აღმოფხვრა მოხდა, იმ წლებში წამოყო სხვადასხვა ყვავილებმა/ნათესავმა ვირუსებმა თავი. მაგალითად, ეს იყო „მაიმუნის ყვავილი“, „ძროხის ყვავილი“ და სხვა. სხვათა შორის, საქართველოში რამდენიმე წლის წინ ყვავილის კიდევ ერთი ნაირსახეობა აღმოვაჩინეთ, რომელსაც „ახმეტა ვირუსი“ ვუწოდეთ, რადგან მთის საძოვრებში, მწყემსებში დადასტურდა. ასე რომ, საქართველოში ასეთ დაავადებებზე ზედამხედველობის სისტემა კარგად გვაქვს აწყობილი.

საქართველოში „ძროხის ყვავილი“ ყოველწლიურად არა, მაგრამ რამდენიმე წელიწადში ერთხელ, 1-2 შემთხვევა ყოველთვის არის. „მაიმუნის ყვავილი“ ქვეყანაში არ ყოფილა, იმედია, არც ახლა გვექნება, მაგრამ მზადყოფნა გვაქვს, — აღნიშნა პაატა იმნაძემ.

# „ნაცმოძრაობას ჰგონია, რომ მათ ირგვლივ ტრიალებს მთელი მსოფლიო“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მდგომარეობის გამო, ამით საქმე არ დაზიანდებოდა. როდესაც გენმდივანი ავადაა, მისი უფლებები სხვაზეა დელეგირებული.

დღედაღამ პირზე აკერიათ, საქართველო გამქრალიაო, არადა, ვიზიტი ვიზიტზე ეწყობა. ვიზიტები არ შეწყვეტილა. ნახონ წინა წლისა და ახალი წლის დასაწყისში განხორციელებული ვიზიტები. არ ვიცი, რა სისულელეებს ლაპარაკობენ. მოსახლეობას, უბრალოდ, ბრბოდ მიიჩნევენ. რასაც აკეთებენ, შეურაცხმყოფელია.

***— რაღა ამ ვიზიტის წინ გამოიტანა მოსამართლემ განაჩენი და გვარამია დააპატიმრა?***

— ეს რომ სპეციალურად იყოს, მაშინ თავის თავს ცუდს რატომ მოუწყობდნენ? უბრალოდ, ლოგიკას ვერ ვხვდები. არ მინდა სასამართლო სისტემის დამცველად გამოვიდე, ეს არ არის ჩემი სფერო. თუმცა, ერთხელ შემთხვევა მქონდა, პირად, ძალიან პრიმიტიულ სამოქალაქო საკითხზე, სასამართლო პროცესი ოთხი წელი გაგრძელდა სამ ინსტანციაში. კიდევ კარგი, რომ ადვოკატი დავიქირავე. ის წარმომადგენდა და ჩემი საქმე ბოლომდე მიიყვანა.

პარალელურად, უამრავი საქმე გრძელდებოდა. მათ შორის, სააკაშვილის საქმეებიც მიმდინარეობს. რაღაც პერიოდში რომელიმე საქმე დამთავრდება, მოსამართლე განაჩენს გამოიტანს და რაღაცას დაემთხვევა ან არ დაემთხვევა.

# გიორგი მჟავანაძის მიმართ ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან, მოძრაობა „სირცხვილიას“ დირექტორის, გიორგი მჟავანაძის მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით შესაძლო გადამეტების ფაქტზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით 2022 წლის 17 მაისს დაიწყო.

როგორც უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო გ.მ.-ს ადვოკატის მიერ სამსახურის ცხელ ხაზზე განხორციელებული შეტყობინება.

„სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები ინტენსიურ რეჟიმში, უმოკლეს დროში ჩაატარა. კერძოდ, გამომძიებელმა დაკავებული დროებითი მოთავსების იზოლატორში იმავე ღამეს გამოკითხა, რომელმაც პოლიციის თანამშრომლების მიერ მის მიმართ განხორციელებული ძალადობის თაობაზე ისაუბრა და დაკავების გარემოებები აღწერა.

დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულის მოთავსების შემდეგ, სხეულზე ძალადობის შესაძლო კვალის დაფიქსირების მიზნით, გ. მ.-ს მიმართ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა დაინიშნა, რომლის ფარგლებშიც, იგი ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის მიერ პირადად იქნა შემოწმებული.

სასამართლოს განჩინების საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-დან გამოთხოვილი იქნა ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს მე-9 სამმართველოს შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერები, თუმცა, მათ შორის არ აღმოჩნდა იმ ვიდეოკამერის ჩანაწერი, რომლის დაფარვის არეალშიც მოექცეოდა პოლიციის შენობაში გ.მ.-ს ადმინისტრაციული წესით დაკავების გარემოებები.

აღნიშნულის შემდგომ, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ამოღებული იქნა მე-9 სამმართველოში განთავსებული ვიდეოჩამწერი მოწყობილობა (DVR), საიდანაც გამოძიებისთვის საინტერესო ვიდეო ჩანაწერის მოხსნა/ფიქსაციის/აღდგენის მიზნით, საინფორმაციო-ტექნოლოგიური ექსპერტიზა დაინიშნა.

გარდა ამისა, დათვალიერდა მე-9 სამმართველოს შენობა და მისი მიმდებარე ტერიტორია, რა დროსაც იდენტიფიცირებული იქნა გამოძიებისთვის საინტერესო ლოკაციაზე განთავსებული კერძო პირის საკუთრებაში არსებული ვიდეოკამერები. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, გამოთხოვილი იქნა აღნიშნული ვიდეოკამერების ჩანაწერები, რასთან დაკავშირებითაც, ჩანაწერების ხარისხის გაუმჯობესების მიზ-



ნით, ვიდეო ექსპერტიზა დაინიშნა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შსს გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს მე-9 სამმართველოს 11 თანამშრომელი გამოიკითხა, მათ შორის ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილე. გამოკითხული პოლიციის თანამშრომლების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მოქალაქე გ.მ.-ს მიმართ ადგილი არ ჰქონია რაიმე სახის ძალადობის და სხვაგვარი უკანონო მოპყრობის ფაქტს და მისი ადმინისტრაციული წესით დაკავება პოლიციის თანამშრომლების მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე მოხდა.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება, ტარდება ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება ობიექტური, სრულყოფილი და ყოველმხრივი გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური გამოთქვამს მზადყოფნას, განმცხადებლის საქმეში ჩართულობის და გამოძიების მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, გ. მ.-ს ინტერესების დამცველ ადვოკატს მისცეს სისხლის სამართლის საქმესთან წვდომის და საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა“ – აღნიშნულია ინფორმაციაში.

გიორგი მჟავანაძე გლდანი-ნაძალადევის მე-9 განყოფილების ვიდეოკამერების ჩანაწერების სრულად ამოღებას ითხოვს.

კიდევ ერთი მოთხოვნა გამოძიების დასრულებამდე საქმის ფიგურანტი სამართალდამცავებისთვის უფლებამოსილების შეჩერებაა.

მჟავანაძე ამბობს, რომ ამოღებული მასალიდან გამქრალია მხოლოდ ის ნაწილები, სადაც მასზე ძალადობა უნდა იყოს ასახული.

– მოთხოვნად კვლავ რჩება ის, რომ სრულად იქნეს ამოღებული ვიდეომასალები. ჩვენ ახლა ვნახეთ, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ მათ მიაწოდეს კამერის ჩანაწერები, თუმცა არ არის ზუსტად ის ჩანაწერი, სადაც უნდა ჩანდეს ჩემი დაკავების პროცესი. შემდეგ უკვე ჩემზე ძალადობის პროცესი, ანუ არის გამქრალი მხოლოდ ეს მონაკვეთები. ჩემი მინიმალური მოთხოვნა არის ის, რომ უფლებამოსილება შეუჩერდეს ამ ადამიანებს სულ მცირე მანამ, სანამ გამოძიება არ დასრულდება, – ამბობს გიორგი მჟავანაძე.

## კაცი, რომელმაც ყოფილი ცოლი გაჩერებაზე დაჭრა, ციხიდან ახალი გამოშვებულია

თბილისში, მამარდაშვილის ქუჩაზე 23 მაისს მომხდარი დაჭრის შესახებ „ტვ პირველმა“ დეტალები გაარკვია – ირკვევა, რომ ახალგაზრდა ქალი ყოფილმა ქმარმა მცირეწლოვანი შვილის თვალწინ დაჭრა. შემზარავი ფაქტი ავტობუსის გაჩერებაზე მოხდა.

მოძალადემ ყოფილ ცოლს 6 ჭრილობა მიაყენა. „პირველებმა“ გაარკვია, რომ მამაკაცს შემაკავებელი ორდენი ჰქონდა გამოწერილი და ყოფილ ცოლთან მიახლოება ეკრძალებოდა.

ის ცოლზე ძალადობის ბრალდებით დაკავებულიც იყო, თუმცა ციხიდან 3.000 ლარიანი გირაოთი რამდენიმე დღის წინ გამოუშვეს.

გარდა ამისა, არსებული ინფორმაციით, კაცი ნარკომომხმარებელია და ყოფილ ცოლს ხშირად სთხოვდა ფულს.

ფაქტი დილით მაშინ მოხდა, როცა ახალგაზრდა ქალს შვილი სკოლაში მიჰყავდა. პოლიციამ ბრალდებული დააკავა. გაჩხრიკეს ავტომობილი, რომლითაც, სავარაუდოდ, თავდამსხმელი გადაადგილდებოდა.

საქმეზე გამოძიება სსკ-ის 11 პრიმა 19-109-ე მუხლით დაიწყო, რაც ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ მდგომარეობაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

## რუსთავში მანქანა დაიწვა, მძღოლმა გადასვლა მოასწრო

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა რუსთავში.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, რუსთავი-გაჩიანის გზაზე, სასაფლაოებთან, „მერსედესის“ მარკის ავტომობილი ბეტონმზიდს შეეჯახა.

შეჯახების შედეგად ბეტონმზიდი წყლის არხში გადავარდა, ხოლო მსუბუქ ავტომობილს ცეცხლი წაეკიდა. მძღოლმა, საბედნიეროდ, დროულად მოახერხა მანქანიდან გადმოსვლა, ავტომობილი კი დაიწვა.

შემთხვევის ადგილზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სახანძრო სამაშველო სამსახურისა და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები იყვნენ მობილიზებულნი.

ავარიის შედეგად არავინ დაშავებულა, ავტოსაგზაო შემთხვევის გამო მაგისტრალზე მიმოსვლა რამდენიმე წუთით შეზღუდული იყო.

## გორის ავტობანზე 2 მანქანას ცეცხლი გაუჩნდა

### 1 გარდაიცვალა, 5 დაშავდა

ავტობანის გორის მონაკვეთზე 23 მაისს მომხდარი ავარიის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა და 5 დაშავდა. დაშავებულები სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებებით სასწრაფო დახმარების ჯგუფებმა გორისა და ქარელის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

დაშავებულთა შორის ერთი ქვეითია, ოთხი კი ავტომანქანების მგზავრი.

შემთხვევა ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის გორი-ქარელის მონაკვეთზე მოხდა.

შეჯახების შედეგად ორ ავტომანქანას ცეცხლი გაუჩნდა.

## „თქვენი სტანდარტითაც სირცხვილია“... „ნუ გახდებით სიკვდილის მონაწილე“

### მოსამართლე კოჭლამაზაშვილის გადაწყვეტილებას ხმაური მოჰყვა

ხმაური იყო საქალაქო სასამართლოში, სადაც მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილმა 24 მაისს მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი კიდევ ერთხელ გადადო.

მოსამართლის გადაწყვეტილებას დარბაზში პროტესტი და ხმაური მოჰყვა.

დღეს ყველა მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილის გადაწყვეტილებას ელოდებოდა, დაუშვებდა თუ არა მოსამართლე მიხეილ სააკაშვილთან სამედიცინო ექსპერტებს.




კოჭლამაზაშვილმა სხდომა იმ მოტივით გადადო, რომ დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იყო სწორი.

დოკუმენტებში კი, რომელთაც მიხეილ სააკაშვილი აწერს ხელს, საუბარია იმაზე, რომ არ ჩატარდეს სხდომა მისი დასწრების გარეშე, თუმცა მოხდეს სამედიცინო ექსპერტების დაშვების შუამდგომლობის განხილვა.

დაცვის მხარე ამბობს, რომ მოსამართლე კოჭლამაზაშვილი „ოცნებასთან“ ერთად, სასიკვდილოდ იმეტებს მესამე პრეზიდენტს.

ადვოკატის შეფასებით, სხდომის გადადების მიზეზი აბსურდულია.

მომდევნო სასამართლო სხდომა კოჭლამაზაშვილმა 15 ივნისს ჩანიშნა.

## ცოლის მკვლელობისთვის როინ მებონიას პატიმრობა შეეფარდა

საზოგადოებრივ ტრანსპორტში მეუღლის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ მამაკაცს – როინ მებონიას – აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ლაშა კლდიაშვილმა გამოაცხადა.

დღევანდელ სხდომაზე მებონიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე იმსჯელეს.

პროკურატურა დაკავებულის მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების, პატიმრობის გამოყენებას მოითხოვდა, დაცვის მხარე კი ბრალდების მხარის პოზიციას დაეთანხმა.

როგორც ადვოკატმა სულხან კომახიძემ განმარტა, როინ მებონიას ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა აქვს. ადვოკატის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალს არ უარყოფს, მაგრამ მისი ფსიქიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ის ფაქტებს ვერ იხსენებს და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოსაკვლევია.

ცნობისთვის, 21 მაისს, გურამიშვილის გამზირზე მოძრავ საზოგადოებრივ ტრანსპორტში, როინ მებონიამ მეუღლეს, სოფი კვარაცხელიას არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით, ცივი იარაღით სხეულის სხვადასხვა ადგილზე მრავლობითი დაზიანებები მიაყენა. მიყენებული დაზიანებების შედეგად ის ადგილზე გარდაიცვალა.

როინ მებონიას ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ განზრახ მკვლელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## ვახტანგ გომელაურმა აჭარაში თათბირი გამართა



შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა, აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გამართა.

ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, შეხვედრას, ასევე, ესწრებოდა მინისტრის პირველი მოადგილე შალვა ბედოიძე.

„ვახტანგ გომელაურმა აჭარის პოლიციის დანაყოფის ხელმძღვანელებთან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ქალაქ ბათუმში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციული საპოლიციო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მოისმინა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ყურადღება გაამახვილა პოლიციელებისთვის ღირსეული სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ პოლიციელებისთვის სოციალური გარანტიების შექმნა სამინისტროსთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

შინაგან საქმეთა მინისტრმა შეხვედრაზე თანამშრომლებთან უწყების პრიორიტეტული მიმართულებებიც განიხილა და სამუშაო პროცესთან დაკავშირებით მათ შესაბამისი დავალებები მისცა“ – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

## ზურაბ ჯაფარიძეს 2.000 ლარის გადახდა დაეკისრა



„მადლობა ბატონო პრემიერო“ – „გირჩი მეტი თავისუფლების“ ლიდერი, ზურა ჯაფარიძე წერს, რომ სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო. პოლიტიკოსს 2.000 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისრა.

მან შესაბამისი დადგენილების ფოტო სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა.

დადგენილების მიხედვით, მოსამართლე ციცინო როხვაძემ პოლიტიკოსი სამართალდამრღვევად ადმინისტრაციული კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით ცნო, რაც სამართალდამცავის მოთხოვნის დაუმორჩილებლობას გულისხმობს.

## აკურაში მკვლელობისთვის ი.გ-ს ბრალი წარედგინა და მას ეძებენ



საქართველოს პროკურატურამ თელავის რაიონის სოფელ აკურაში მომხდარი მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის ფაქტზე ი.გ.-ს ბრალდება დაუსწრებლად წარუდგინა.

პროკურატურის ინფორმაციით, ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, თელავის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა და მის მიმართ ძებნა გამოცხადდა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2022 წლის 21 მაისს, თელავის რაიონის სოფელ აკურაში, ი.გ.-მ სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების ნიადაგზე, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, სანადირო თოფიდან გასროლით კ.მ.-ს და ბ.მ.-ს ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული დაზიანების შედეგად კ.მ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო დროულად გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად, ბ.მ.-ს გადარჩენა მოხერხდა.

ი.გ.-მ სროლის შედეგად ასევე საფრთხე შეუქმნა შემთხვევის ადგილზე მყოფი ორი ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ი.გ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19.109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებაში, ორი ან მეტი პირის მიმართ, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“ – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ბაიდენი: „უკრაინაში ქუჩებში მშვიდობიან მოქალაქეებს ხოცავენ“




უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სასტიკმა და არაპროვოცირებულმა ომმა ჰუმანიტარული კატასტროფა გამოიწვია.

ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა ე.წ. „ქუადის“ სამიტზე განაცხადა, რომელშიც ის ინდოეთის, ავსტრალიისა და იაპონიის ლიდერებთან ერთად მონაწილეობს.

– ქუჩებში უდანაშაულო მშვიდობიან მოქალაქეებს ხოცავენ და მილიონობით ლტოლვილი იძულებით გადაადგილებული და გასახლებულია. ეს უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ევროპული საკითხი, ეს არის გლობალური საკითხი, – აღნიშნა ბაიდენმა.

მისი თქმით, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი უკრაინის სკოლებზე, ეკლესიებსა და მუზეუმებზე თავდასხმით კულტურის განადგურებას ცდილობს.

ბაიდენმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის უკრაინაში შეჭრის ფაქტი „ქუადის“ მიზნებსა და საერთო ღირებულებებს კიდევ უფრო ამაღლებს.

– საერთაშორისო წესრიგის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ფუნდამენტური პრინციპები, საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებები ყოველთვის უნდა იყოს დაცული, მიუხედავად იმისა, თუ სად ირღვევა ისინი. ასე რომ, „ქუადს“ წინ ბევრი სამუშაო აქვს, – აღნიშნა პრეზიდენტმა ბაიდენმა.

# მარიუპოლში სარდაფის ნანგრევების ქვეშ თითქმის 200 ცხედარი აღმოაჩინეს

მარიუპოლში ერთ-ერთი სარდაფის ნანგრევების ქვეშ თითქმის 200 ცხედარი აღმოაჩინეს.

ამის შესახებ ინფორმაციას მარიუპოლის მერის პრესმდივანი პეტრ ანდრიუშენკო „ტელეგრამის“ გვერდზე ავრცელებს.

„მარიუპოლი. სასაფლაო. მრავალსართულიანი სახლის ნანგრევების გასუფთავებისას სარდაფში დაახლოებით 200 ადამიანის ნახევრად გახრწნილი ცხედარი იპოვეს. ადგილობრივების უარის შემდეგ, მოეგროვებინათ გარდაცვლილთა ცხედრები, რუსეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმაც ტერიტორია დატოვა“ – განაცხადა ანდრიუშენკომ და განმარტა, რომ ცხედრები მათ გარდაცვალების ადგილზევე დატოვეს.

მისივე თქმით, შეჩერებულია მაღალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებში დაკრძალულთა სასაფლაოებზე გადასვენების პროცესიც.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ლავროვი: „კრემლის მიზანი ჩინეთთან კავშირების განვითარებაა“

მოსკოვი ყურადღებას გაამახვილებს ჩინეთთან კავშირების განვითარებაზე და შეწყვეტს დასავლეთიდან მომარაგებაზე დამოკიდებულებას.

ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა განაცხადა.

მისი თქმით, კრემლის მიზანია ჩინეთთან კავშირების შემდგომი განვითარება ახლა, როდესაც დასავლეთმა „დიქტატორის პოზიცია“ დაიკავა უკრაინაში ომის ფონზე.

– თუ მათ (დასავლეთს) სურთ რაიმე შემოგვთავაზოს ურთიერთობების აღდგენის კუთხით, მაშინ ჩვენ სერიოზულად განვიხილავთ, გვჭირდება თუ არა ეს, – აღნიშნა ლავროვმა.

მისი თქმით, ჩინეთს აქვს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, „რომლებიც არანაირად არ ჩამოუვარდება დასავლეთს“.

– ჩვენ უნდა შევწყვიტოთ რაიმე სახის დამოკიდებულება დასავლეთიდან აბსოლუტურად ყველაფრის მოწოდებაზე, რათა უზრუნველვყოთ უსაფრთხოების, ეკონომიკისა თუ ჩვენი სამშობლოს სოციალური სფეროსთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი სექტორების განვითარება, – აღნიშნა ლავროვმა.

მისი თქმით, რუსეთს „მხოლოდ საკუთარი თავის და იმ ქვეყნების იმედი აქვს, რომლებმაც დაამტკიცეს სანდოობა და სხვის დაკრულზე არ ცეკვავენ“.



# სურსათის ნაკლებობამ შეიძლება უფრო მეტი ადამიანის სიკვდილი გამოიწვიოს, ვიდრე თავად უკრაინის ომმა



უკრაინაში შეჭრის გამო მარცვლეულისა და სურსათის ნაკლებობამ შეიძლება იმაზე მეტი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლოს, ვიდრე უშუალოდ ომმა.

ამის შესახებ გაერთიანებული სამეფოს ტრანსპორტის მინისტრმა, გრანტ შეპსმა განაცხადა.

– შეშფოთებული ვარ უკრაინაში არსებული ვითარებით. ჩვენ ვნახეთ პუტინის ეს ბარბაროსული შეჭრა. რაც ნამდვილად მაწუხებს, არის ის, რომ ჩვენ ვნახეთ უკრაინაში დაკარგული მრავალი ადამიანის სიცოცხლე და შეიძლება ვნახოთ კიდევ უფრო მეტი დაკარგული სიცოცხლე მსოფლიოს სხვა ადგილებში, მარცვლეულისა და საკვების ნაკლებობის გამო, რაც შეიძლება იყოს უფრო დიდი მაჩვენებელი, ვიდრე უშუალოდ ომში დაღუპულთა რიცხვი, – განაცხადა მინისტრმა.

მისი თქმით, აუცილებელია უსაფრთხო გასასვლელის მოწყობა მარცვლეულისა და სხვა საქონლის ქვეყნიდან გასატანად.

– არსებობს უამრავი პოტენციური გზა მარცვლეულისა და სხვა საქონლის ქვეყნიდან გასატანად და სხვადასხვა საქონლის ქვეყანაში შესატანად. ვფიქრობ, რომ ეს აუცილებელია.

წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება იყოს დიდი შიმშილი და დეფიციტი, რამაც შეიძლება ომში გარდაცვლილთა რიცხვები დაჩრდილოს, – აღნიშნა ბრიტანეთის ტრანსპორტის მინისტრმა.

# წიგნის საერთაშორისო ფესტივალი იწყება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

სით თურქეთი წელს ისარგებლებს. თურქეთის, როგორც ფოკუს ქვეყნის სტენდზე 10-მდე თურქი გამომცემელი იქნება წარმოდგენილი. ფესტივალის პროგრამის ფარგლებში 15-ზე მეტი ავტორი გამართავს შეხვედრას, მათ შორისაა ფირათ სუნელი და ისქანდერ ფალა. ისინი ქართველ მწერლებთან ერთად ქართულ-თურქულ ლიტერატურულ თუ კულტურულ ურთიერთობებზე ისაუბრებენ.

ფესტივალის მომდევნო ფოკუს ქვეყანა 2023 წელს პოლონეთი იქნება, ამიტომაც წლევანდელ ფესტივალს თანამედროვე პოლონელი მწერლებიც ეწვევიან. შეხვედრები გაიმართება იაცეკ დენელთან და ბარბარა კლიცკასთან.

ფესტივალის ბოლო დღეს, 29 მაისს, თურქეთი პოლონეთს ოფიციალურად გადასცემს ფოკუს ქვეყნის სტატუსს.

ევროკავშირის ლიტერატურული პრემიისა და გამომცემელთა ასოციაციის ორგანიზებით გაიმართება დისკუსია, რომელსაც ევროკავშირის ლიტერატურული პრემიის წლევანდელი გამარჯვებული, ქართველი მწერალი, ივა ფეზუაშვილი, პრემიის უკრაინელი მონაწილე, ეუგენია კუზნეცოვა და ლიეტუველი ტომას ვაისეტა მოაწყობენ. ღონისძიების მოდერატორი კი პაატა შამუგია იქნება.

ფესტივალის პროგრამის ფარგლებში, ამერიკის საელჩოს ორგანიზებით გაიმართება დისკუსია ამერიკელ ავტორ ნილუფარ თალებთან.

ფესტივალს უბრუნდება პროექტი „მსახიობები ლიტერატურისთვის“, რომლის ფარგლებში, მე-11 პავილიონში მოწყობილ სცენაზე ქართველი მსახიობები წარადგენენ მათ მიერ შერჩეულ წიგნებს.

ფესტივალი, გასული წლის მსგავსად, წელსაც ჰიბრიდული ფორმატით ხორციელდება და ფიზიკური ღონისძიების პარალელურად, მომხმარებლებს, სურვილის შემთხვევაში, წიგნების შეძენა საფესტივალო ფასებად ონლაინ რეჟიმშიც შეეძლებათ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# მე ვარ საქართველო — ფეხბურთის ფედერაციის ახალი ბრენდ პლატფორმა

**საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ერთა ლიგის გათამაშების ახალ ეტაპს სიახლით იწყებს. დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად, ეროვნული გუნდებისთვის ერთიანი ბრენდ პლატფორმა შეიქმნა.**

**შეიცვალა ბრენდის ვიზუალური და ვერბალური იდენტობა. ახლა უკვე პირველად, ეროვნული გუნდები საკუთარი დიზაინის მაისურებით ითამაშებენ.**

**ბრენდის ახალი პლატფორმის შექმნის პროცესში, ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად, ფეხბურთთან ასოცირებული სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლები იყვნენ ჩართული: მოქმედი და ვეტერანი ფეხბურთელები, გულშემატკივრები და ჟურნალისტები. ბრენდის ახალ პლატფორმაზე საკომუნიკაციო სააგენტო ვინდფორსმა იმუშავა.**



**ლევან კობიაშვილი, სფფ-ს პრეზიდენტი:**

– ვფიქრობ, რომ ეროვნული ნაკრების ბრენდმა მიაღწია იმ ეტაპს, როდესაც აუცილებელი იყო ცვლილება. ცვლილება, რომელიც იქნებოდა დროსთან ადეკვატური, თანამედროვე და ასევე, გაიზიარებდა ჩვენი რეალობის კონტექსტს და პრობლემატიკას.

სფფ-ს ხელმძღვანელობამ ამ თემასთან დაკავშირებით პრესკონფერენციაც გამართა. სადაც აღინიშნა, რომ პირველ რიგში, შემუშავდა ბრენდის პლატფორმა, რომლის უმთავრესი იდეა სპორტსმენების მუდმივი თვითგანვითარებაა. სწორედ ამგვარი ინდივიდებისგან შემდგარი ერთობა ხდის ეროვნულ ნაკრებს კონკურენტულ და ანგარიშგასაწევ ძალად საერთაშორისო ასპარეზზე. შეიცვალა ბრენდის ვიზუალური იდენტობა, სადაც ბრენდის არქეტიპი გმირია. ის, ვინც საკუთარ თავში სისუსტეს ამარცხებს და საკუთარი მიზანდასახულობით სხვებსაც შთააგონებს.

**ტატა მატვეევა, ქალთა ნაკრების კაპიტანი:**

– ყველა სპორტსმენი უნდა ფიქრობდეს, როგორ განავითაროს საკუთარი თავი, როგორ იყოს ყოველდღე უკეთესი და არასდროს დაკმაყოფილდეს მიღწეულით და გააკეთოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი. ცხადია, ამისთვის დიდი ნებისყოფა და მუდმივად საკუთარ თავზე მუშაობაა საჭირო.

სწორედ ამ შინაარსის გამომხატველი ვიზუალური სიმბოლიკა თავად ჩვენი ქვეყნის გერბზეა გამოსახული – წმინდა გიორგი სიძლიერის, იმედის, ბოროტებასთან ბრძოლის სიმბოლოა.

თუმცა, ამ სიმბოლოს ერთ-ერთი მთავარი ინტერპრეტაცია საკუთარ სისუსტეებზე გამარჯვებაა – ნებისმიერ მეტოქეს დაამარცხებ, თუ შენში სისუსტეს დაამარცხებ. სწორედ ამიტომ იქცა ამ სიმბოლოს განახლებული, თანამედროვე ვარიაცია ეროვნული ნაკრების ბრენდის ვიზუალურ იდენტობად.

სიმბოლოს მოყვა ვიზუალური სტილიც. გამოყენებული ქართული ხასიათი და სიმბოლიკა ჰარმონიულად აერთიანებს ბრენდის იდენტობასთან.

მე ვარ საქართველო – ბრენდის ახალი სლოგანია, რომელიც ახალ იდეოლოგიას ახმოვანებს.

ამ ფრაზას, ერთი მხრივ, ამბობს ბრენდი, რომელიც ქვეყანას მსოფლიო ასპარეზზე წარმოაჩენს და სამყაროს თავიდან ეცნობა; მეორე მხრივ, ამბობს ფეხბურთელი რომელიც პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს, ყოველდღიური ძალისხმევით მუდმივად ვითარდება, ავლენს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს და საერთო საქმეში კონტრიბუციას ახდენს; ასევე ამბობს გულშემატკივარიც, რომელიც მთელი ქვეყნის სახელით უჭერს მხარს ეროვნულ ნაკრებს;

**გურამ კაშია, ვაჟთა ნაკრების კაპიტანი:**

– ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ინსპირაციის მომცემი ფრაზაა „მე ვარ საქართველო“ – მე ვიაზრებ პასუხისმგებლობას, რომ ვაჩვენო ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი – გავიმარჯვებ თუ დავმარცხდები, ნებისმიერ შემთხვევაში, მე ვარ პასუხისმგებელი. ეს მთელმა ერმა უნდა გავითავისოთ – ყველაფერი ჩვენგან იწყება და თითოეული ჩვენგანი ვართ ჩვენი ქვეყნის წარმატებაზე პასუხისმგებელი.

შეიცვალა საფეხბურთო ნაკრების ფორმების დიზაინიც. ვიზუალური იდენტობის მიხედვით შეიქმნა 3 განსხვავებული ფორმა (საშინაო, საგარეო და მესამე). ახალი ფორმები ახალ ფილოსოფიას წარმოადგენს, ითვალისწინებს თანამედროვე ვიზუალურ ტრენდებს, ნაკრებს აძლიერებს, როგორც ბრენდს და გულშემატკივრებს ახალ, ეროვნულ სიმბოლიკასთან შესაბამისობაში მყოფ ვიზუალურ გადაწყვეტას სთავაზობს.

**ლევან კობიაშვილი:**

– ახალ ეტაპზე გადასასვლელად, უპირველესად, არსებული პრობლემების გაანალიზება, მისი მიზეზების ძებნა და გადაჭრის გზების ძიებაა საჭირო. მთავარი შეცდომა, რომელიც წარმატების მიღწევაში გვიშლის ხელს, ისაა, რომ მუდამ სხვაგან ვეძებდით და ვეძებთ პრობლემას. გვავიწყდება, რომ საკუთარ თავს დავუსვათ კითხვა – ვაკეთებ მე ყველაფერს იმისთვის, რომ ჩემი გუნდი, ჩემი ქვეყანა წარმატებული იყოს? არ უნდა გვეშინოდეს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების, არ უნდა გვეგონოს, რომ სხვა გააკეთებს ჩვენს გასაკეთებელს, არამედ ჩვენვე უნდა ვიყოთ მუდამ ჩვენი შესაძლებლობის ზღვარზე და თუ თითოეული ჩვენგანი ამ იდეით გაერთიანდება, სწორედ ეს განსაზღვრავს შემდგომ ჩვენ წარმატებას. ჩვენი ახალი ლოგო და სლოგანიც ამ ფილოსოფიას ატარებს – მე ვარ საქართველო, ნიშნავს ვიაზრებ ჩემს ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას და ჩემი საქმე უნდა გავაკეთო.

**ალექსანდრე იაშვილი, სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტი:**

– ჩვენი პრობლემა მუდამ ის იყო, რომ ვერ გადაგვქონდა ფეხბურთელების ინდივიდუალური წარმატება გუნდურ წარმატებაში. ვერ შევძელით გაგვეერთიანებინა ჩვენი სიძლიერე. ვფიქრობ, ყველა ძლიერი გუნდის უკან ძლიერი ფილოსოფია და იდეოლოგია დგას, რომელიც უნდა აერთიანებდეს ბავშვთა ფეხბურთს, ქალთა, ასაკობრივ და ეროვნულ გუნდებს. ამის გარეშე შეუძლებელია წარმატების მიღწევა. მნიშვნელოვანია, ყველამ ვიცოდეთ, რომ წარმატებისთვის ინდივიდუალურად უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა. მნიშვნელობა არ აქვს, ფეხბურთელი იქნება, გულშემატკივარი თუ ფეხბურთში ჩართული სხვა პირი – ყველამ ჩვენი საუკეთესო შედეგი უნდა ვაჩვენოთ. თუ მე არ მივცემ მაგალითს, რომ მე ვაკეთებ ჩემს საუკეთესოს, ვერც სხვას მოვთხოვ ამას. თუ გუნდში თითოეული ინდივიდი ძლიერია და პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე, საბოლოოდ მთელი გუნდი წარმატებულია. ახალი ლოგოც სწორედ ამ იდეოლოგიას ატარებს – ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგე ყოველთვის ჩვენივე თავია. როცა წარმატების მიღწევა გვინდა, პირველ რიგში, ჩვენი თავი უნდა დავამარცხოთ. ამ მნიშვნელოვან საქმეს ემსახურება ეს ცვლილებებიც, რომლის განხორციელებაც დიდი ხანია გვინდა და ვთვლი, რომ ახლა ყველაზე სწორი და კარგი დროა ახალი ეტაპის დასაწყებად და ეს ძალიან განსაკუთრებული მომენტია ქართულ ფეხბურთში.

**ვილი სანიოლი, ვაჟთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

– როდესაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ვახსენებთ, მხოლოდ გუნდს არ მოვიაზრებთ – ეს არის ის ღირებულებები, ფასეულობები და კულტურა, რომლებიც ამ გუნდის უკან დგას. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი მგონია აღნიშნული ცვლილებები. მნიშვნელოვანია, რომ ფეხბურთელი საკუთარი გუნდის გარდა, მიეკუთვნებოდეს ძლიერ ინსტიტუციას, რომელსაც მკაფიოდ გამოხატული, საქვეყნოდ ცნობადი მახასიათებლები აქვს. ფილოსოფიაც ხომ ჩვენს თავში არსებული ხმაა, რომელიც გვეხმარება, არ დაგვავიწყდეს საიდან მოვდივართ, რა გვინდა და რა მიზნები გვაქვს, საით მივისწრაფვით. ფეხბურთელები იცვლებიან, თუმცა ბრენდის ღირებულებები და იდენტობა რჩება, ამიტომ, განსაკუთრებით ეროვნული ნაკრებისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია, საკუთარი თავის მყარად დამკვიდრება სპორტის ინდუსტრიაში – მკაფიოდ განსაზღვრა, რა არის გუნდის ფასეულობები, საით აქვს გეზი აღებული, ა.შ. ვთვლი, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანის დასაწყისში ვართ და ძალიან მიხარია, რომ ამ ცვლილებების დამსწრე და თანამონაწილე „სტუმარი“ მეც გახლავართ.

გაგრძელება მე-7 გვერდზე


## განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

# ნინო სალუქვაძე მედლებს ისევ იგებს

ესპანეთის ქალაქ გრანადაში მიმდინარე დიდ პრიზზე, ჩვენი ქვეყნის ყველაზე წარმატებულმა ტყვიის მსროლელმა, ოლიმპიური თამაშების სამივე ხარისხის მედლის მფლობელმა ნინო სალუქვაძემ, კაკო მოსულიშვილთან ერთად, შერეულ წყვილებში პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

საქართველოს ნაკრების წარმომადგენლებს ფინალში სერბების – ზორანა არუნოვიჩისა და დამირ მიკეს წყვილთან მოუწიათ ურთიერთობის გარკვევა და მცირედით, ერთი ქულის სხვაობით დამარცხდნენ.

სერბულმა წყვილმა 574 ქულით პირველი ადგილი დაიკავა, სალუქვაძე/მოსულიშვილმა 573 ქულით – მე-2.

ნინო სალუქვაძემ პნევმატური იარაღიდან პირად პირველობაშიც იასპარეზა და მე-12 ადგილი დაიკავა.

გრანადას დიდ პრიზზე საქართველო ასევე წარმოდგენილია კაცთა ნაკრებით. ჩვენი სამეულიდან პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ყველაზე უკეთ ცოტნე მაჭავარიანი გამოვიდა – 578 ქულით მე-5 ადგილზე გავიდა. ლევან ქადაგიძე 572 ქულით მე-14 იყო, ხოლო კაკო მოსულიშვილი 569 ქულით – მე-16.



# შევარდენი სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებას გააპროტესტებს

როგორც უკვე იცით, ქართულ ფეხბურთში კიდევ ერთი სკანდალი აგორდა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სფფ) სადისციპლინო კომიტეტმა ეროვნულ ლიგა 2-ში მოთამაშე ზუგდიდის დინამო და თბილისის შევარდენი 1906 მკაცრად დასაჯა.

მიზეზი კონკრეტულ მატჩებში თაღლითური ფსონებით მანიპულირებაა. შედეგად, ორივე გუნდი ლიგა 2-ის გათამაშებიდან მოიკვეთა, დაეკისრათ ფინანსური ჯარიმა, როგორც გუნდებს, ასევე რამდენიმე ფეხბურთელს.

რაპორტები უეფადან მოვიდა, ამასთან, ძალიან ბევრი და, შედეგიც აქედან გამომდინარე შედგა.

ცხადია, ორივე კლუბის ხელმძღვანელობა თავს იმართლებს. საფეხბურთო კლუბმა შევარდენმა განცხადებაც გამოქვეყნდა.

– საფეხბურთო კლუბი შევარდენი 1906 საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სფფ) სადისციპლინო და დავების კომიტეტის გადაწყვეტილებას, გუნდისა და მისი ფეხბურთელების სანქცირებასა და დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებით, კატეგორიულად არ ეთანხმება. ამიტომ გამოიყენებს უფლებას, კლუბისა და მოთამაშეების სამართლებრივი ინტერესები დაიცვას. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კოდექსის 126-ე მუხლის თანახმად, უეფასგან მოსული ანგარიში (რაპორტი) გუნდის ან მოთამაშეების დისკვალიფიცირების უფლებას არ იძლევა. 126-ე მუხლის ამ ნაწილს მხოლოდ გამაფრთხილებელი ხასიათი აქვს. ჩვენთვის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის უაპელაციო გადაწყვეტილება, გუნდის გათამაშებიდან მოხსნის, დაბალ ლიგაში დაქვეითებისა და ფეხბურთელებისთვის საქმიანობის აკრძალვის თაობაზე, გაუგებარია. ტრადიციული და უძველესი საფეხბურთო კლუბი შევარდენი 1906 აღნიშნული გადაწყვეტილების შესაცვლელად ყველა ინსტანციაში იბრძოლებს!

ამ საკითხთან დაკავშირებით სადისციპლინო კომიტეტის ხელმძღვანელს დავით კიკალეიშვილს დაუკავშირდა და კომენტარი სთხოვა.

**დავით კიკალეიშვილი:**

– ჩვენ არავის არაფერს არ ვაბრალებთ. ვართ დამოუკიდებელი ორგანო. მასალებს გვაწვდის სფფ, რომელსაც უეფადან მოსდის რაპორტები. ეს რაპორტები არ იყო ერთჯერადი და ერთ თამაშზე აგებული. უეფა წლები აკვირდებოდა ამ გუნდების და კონკრეტული ფეხბურთელების ქმედებებს. უეფადან გადმოგზავნილ მასალებში დეტალურად იყო აღწერილი ეჭვის საფუძველი რომელ თამაშში, რომელ წუთზე და ვისი ქმედებების ფონზე გაჩნდა. მაგალითად, რამდენიმე ფეხბურთელზე 8 მატჩის შესახებ გვაცნობეს. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც 3-4 თამაშის რაპორტში მოხვდა. რაპორტები ამ კონკრეტული კლუბების შემთხვევები, სხვებისგან რამდენიმე გარემოებით განსხვავდება. პირველი: რაპორტებში ძალიან დეტალურადაა აღწერილი დარღვევები; მეორე: როგორც გითხარით, ჩამოთვლილია ძალიან ბევრი მატჩი, ანუ არსებობს რეციდივის პრეცედენტი; მესამე: სფფ-მ მიიჩნია, რომ კლუბის რეაგირება ან საკმარისი არაა, ან საერთოდ არ ყოფილა, რაც ჩვენ მიერაც დადასტურდა, რადგანაც კლუბებმა ვერ წარმოადგინეს მათ მიერ მოხდენილი რეაგირების მტკიცებულებები. გარდა ამისა, სფფ-ის მხრიდან კლუბების წარმომადგენლებთან იყო აქტიური კომუნიკაცია, რასაც თვითონ ამ კლუბების წარმომადგენლებიც არ უარყოფენ. შეხვედრების დროს აუხსნეს, რომ რაპორტები პრობლემატურია და საჭირო იყო კლუბების მხრიდან რეაგირება.

მთავარი დეტალი, რაც უეფას რაპორტებშია, არის ის, რომ ეს ყველაფერი დამტკიცებულია, რადგან დეტალურად არის აღწერილი, სად რა დანაშაული იკვეთება. პირდაპირ წერია – თუ საპირისპირო მხარემ საწინააღმდეგო არ დაამტკიცა, წარმოდგენილი დოკუმენტები დამტკიცებულად ითვლება. გარდა ამისა, სფფ-მ უშუალოდ განახორციელა დაკვირვება და წარმოადგინა ვიდეო მასალა. ჩვენ არ ვართ არც სახელმწიფო, არც საგამოძიებო ორგანო, ჩვენი უშუალო ფუნქცია საქმის საფეხბურთო კუთხით განხილვაა და გადაწყვეტილებაც სწორედ ამის საფუძველზე იქნა გამოტანილი. სამწუხაროდ, საკმაოდ მძიმე განაჩენის გამოტანა მოგვიწია. კლუბებს უფლება აქვთ, გამოტანილი განაჩენი ტრიბუნალში გაასაჩივრონ.



# რამაზ სვანაძემ ახალგაზრდული ნაკრები შეკრიბა

3 ივნისს, საქართველოს 21 წლამდე ნაკრები, 2023 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ფარგლებში, გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე რუმინეთს დაუპირისპირდება.

ეს გუნდები მომავალ ახალგაზრდული ევროპირველობის მასპინძელია და ფინალურ ეტაპზე ავტომატურად მოხვდნენ. შედეგად, საკვალიფიკაციო ეტაპიდან თავისუფალნი არიან და სათამაშო პრაქტიკას ერთმანეთთან თამაშით იღებენ.

საქართველომ და რუმინეთმა ერთმანეთში 2021 წლის სექტემბერშიც ითამაშეს. რუმინეთის ქალაქ ვოლუნტარიში გამართული მატჩი ფრედ – 1:1 დასრულდა. მასპინძლები იანის სტოიცას გოლით დაწინაურდნენ, რასაც გიორგი გულიაშვილმა უპასუხა.

რუმინელებთან მომავალი მატჩისთვის, 21 წლამდე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, რამაზ სვანაძემ 23 ფეხბურთელი გამოიძახა. მათ შორის 4 დებიუტანტია: ლუკა ხარატიშვილი, ლაშა კვარაცხელია, შაკო ოგბაიძე და ლევან ოსიყმაშვილი.

**სრული შემადგენლობა კი, ასეთია:**

**მეკარეები:** თორნიკე მეგრელიშვილი (საბურთალო), დემეტრე ბულისკერია (დილა), ლუკა ხარატიშვილი (შუქურა);

**მცველები:** ცოტნე კაპანაძე (თელავი), ივა გელაშვილი (სპარტა, ჩეხეთი), ლაშა კვარაცხელია (დაუგავაპილსი, ლატვია), მათე აბულაძე (ტორპედო), ჯემალ-გიორგი ჯინჯოლავა (კადისი ბ, ესპანეთი), სანდრო კალანდაძე, ლევან ხარაბაძე, საბა ხვადაგიანი (ყველა დინამო თბ), გიორგი გოჩოლეიშვილი (საბურთალო).

**ნახევარმცველები:** ნიკა გაგნიძე (დილა), შოთა ნონიკაშვილი, გიორგი გულიაშვილი (ორივე საბურთალო), გიორგი მოისწრაფიშვილი, ლევან ოსიყმაშვილი (ორივე დინამო თბ), ბექა დარცმელია (ლოკომოტივი), შაკო ოგბაიძე (ვიქტორია, გერმანია), ნიკა ხორხელი (სიონი), ლუკა გაგნიძე (რაკოვი, პოლონეთი);

**თავდამსხმელები:** გიორგი გაგუა (ალავესი, ესპანეთი), შოთა შეყილაძე (ლოკომოტივი).

საქართველოსა და რუმინეთის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩი 3 ივნისს, გორში, 21:00 საათზე დაიწყება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# მე ვარ საქართველო — ფეხბურთის ფედერაციის ახალი ბრენდ პლატფორმა

დასაწყისი მე-6 გვერდზე

**ვატო ქავთარაძე, ვინდფორსის დამფუძნებელი და კრეატიული დირექტორი:**

– ქართული ფეხბურთი, როგორც ბრენდი, საბჭოთა კავშირის ეპოქაში ჩამოყალიბდა. მას შემდეგ, რაც ეს ეპოქა დასრულდა და ჩვენმა ფეხბურთმა დამოუკიდებლად განაგრძო არსებობა, ჩვენ ვერ მოვახერხეთ ჩვენი დამოუკიდებელი საფეხბურთო ფილოსოფიის შექმნა, რომელზეც შემდეგ მთელი დარგი და სამოქმედო სისტემა დაშენდებოდა. ჩვენ, უბრალოდ, ინერციით გავაგრძელეთ სვლა და, შესაბამისად, დღემდე ექოსავით მოგვყვება პრაქტიკულად ყველა ის მანკიერი და დრომოჭმული სააზროვნო მოდელი, რომელიც საბჭოთა სისტემას ახასიათებდა. უმთავრესი და ყველაზე დესტრუქციული, რაც იმ ეპოქას ახლდა, იყო კოლექტივიზმი – სადაც ინდივიდები, მათი შესაძლებლობების მიუხედავად, ხელოვნურად თანაბრდებოდნენ ერთმანეთთან. სისტემა მთლიანად შეზღუდვებზე, ლიმიტებსა და იერარქიულ შიშზე იყო აგებული. ის რკინის ფარდა, რომელიც ჩვენ თავისუფალი სამყაროსგან გვყოფდა, ისეთ ჩარჩოებს ქმნიდა ჩვენ ცნობიერებაში, რომლებიც ამ სამყაროსთან ჩვენ სრულფასოვან ინტეგრაციას შეუძლებელს ხდიდა, მას შემდეგაც კი, რაც ეს ფარდა ჩამოიშალა. შედეგად, ამ კოლექტივიზმისგან ერთხელ და სამუდამოდ გასათავისუფლებლად, ჩვენ მას ინდივიდუალიზმი დავუპირისპირეთ – სწორედ ის, რაზეც დასავლური ცივილიზაცია დგას და რაც განასხვავებს მას საბჭოურისგან. ახალი ბრენდ პლატფორმის მთავარი ქვაკუთხედი ინდივიდია – ინდივიდი, რომელსაც აქვს უნარი თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა და მუდმივი თვითგანვითარების რეჟიმში წარმართოს თავის ცხოვრება და სპორტული კარიერა.

მხოლოდ ამგვარი ინდივიდებისგან შემდგარ ერთობას აქვს შანსი, აქციოს ეროვნული ნაკრები კონკურენტულ და ანგარიშგასაწევ ძალად საერთაშორისო ასპარეზზე.


## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**კლარა წიტაიშვილი:** კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

**თინა სორდია:** კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მეღლება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**


## კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. გამკილავი შინაარსის, სახელდახელოდ თქმული ლექსი; 2. რძის პროდუქტი; 3. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 4. საცხენოსნო შეჯიბრება; 5. რეზინის სპორტული ფეხსაცმელი; 6. უდაბნო ჩილეში; 9. ქართველი მკლავჭიდელი, მსოფლიო ჩემპიონი; 10. დუქნების, სასადილოების რიგი ძველ თბილისში; 11. შემინული აივანი; 14. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის, საერთაშორისო ხელშეკრულება; 16. ღირსშესანიშნავი ამბის, თარიღის აღნიშვნა; 18. კავკასიაში გავრცელებული კლდის თხა; 20. შემოდგომის ხილი; 23. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია; 24. ზღვისპირა კურორტი ბულგარეთში; 25. ჩარხზე დასამაგრებელი, მრავალსაჭრისიანი სახარატო იარაღი; 26. მაღალყელიანი რეზინის ფეხსაცმელი.

**თარაზულად:** 7. ადამიანის ყოფიერების ზოგადი კანონების შემსწავლელი ფილოსოფიის ნაწილი; 8. ბუნებრივი ნაკრძალის სახელწოდება ზოგიერთ ქვეყანაში; 12. რიტმული სვლა მწყობრი ნაბიჯებით; 13. სქელი ქაღალდი; 15. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 17. ჯალათის სახელწოდება ძველად საქართველოში; 19. ქვებზე, ხეებზე მზარდი, უფესვო სპოროვანი მცენარე; 21. ფინური აბანო; 22. მდინარე გერმანია-პოლონეთის საზღვარზე; 27. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 28. მაღალი კლასის სასადილო.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ექსპრომტი; 2. ერუდიტი; 3. ჯილაგი; 4. რისკი; 5. იშხანი; 11. ტოშიბა; 12. ბაცილა; 14. ჟირო; 16. ლორნეტი; 17. დარნიცა; 19. რეცეპტი; 21. ლარგო; 22. შატლი.

**თარაზულად:** 6. ოქსფორდი; 7. ბაიყუში; 8. კაკაო; 9. გრიზლი; 10. გროტი; 13. სტაჟი; 15. პლებისციტი; 18. დავლური; 20. აბიო; 21. ლეკები; 23. ფილანტროპი; 24. ცვეიგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ქლიბი; 2. ჩხუტი; 3. პერგოლა; 4. თორა; 5. ლიმა; 6. ანოსმია; 9. ვარდოსანიძე; 10. არბიტრაჟი; 11. გერიატრია; 14. ნივეა; 16. თხილი; 18. ალუმინი; 20. გამპერი; 23. არვე; 24. მარსი; 25. ფშავი; 26. კოდა.

**თარაზულად:** 7. ფენოლოგია; 8. ხუზისტანი; 12. კობრა; 13. სეიმი; 15. რადიო; 17. ველასკესი; 19. ცენტი; 21. ბურჟე; 22. რიტმი; 27. ანტიკვარი; 28. ბაღდადური.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


25 მაისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8668

ევრო — 3.0706

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.5889

100 რუსული რუბლი — 5.0950

## ამინდის პროგნოზი 25 მაისისათვის




## მბაპემ რეალის გულშემატკივარს მიმართა



პსჟ-ს ფორვარდმა კილიან მბაპემ პსჟ-სთან ახალი კონტრაქტი გააფორმა და, ბუნებრივია, მან იმედი გაუცრუა რეალის გულშემატკივარს, რომელიც უკვე ფიქრობდა, რომ მბაპე რეალის ფეხბურთელი გახდებოდა.

მბაპემ რეალის გულშემატკივარს მოუბოდიშა კიდეც:

— მესმის, რომ მათ იმედი გაუცრუვდათ, მაგრამ მე გადაწყვეტილება მივიღე, რომელსაც პატივი უნდა სცენ. მომავალში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

## დემბელეს მომავალი გარკვეული არ არის



ბარსელონას ფრანგი ფორვარდის უსმან დემბელეს მომავალი ჯერ ბოლომდე გარკვეული არ არის და მას ჯერ კიდევ არ გაუფორმებია ბარსელონასთან ახალი კონტრაქტი.

დემბელემ რამდენჯერმე განაცხადა, რომ მას სურს ბარსელონაში დარჩენა, მაგრამ ყველაფერი მასზე დამოკიდებული არ არის.

თუ დემბელემ ბარსელონასთან კონტრაქტი არ გააფორმა, მაშინ ის დიდი ალბათობით კარიერას პსჟ-ში გააგრძელებს.

## ტომას ტუხელი: „შეგვეძლო, უკეთესი სეზონი გვქონოდა“



ჩელსის მთავარმა მწვრთნელმა ტომას ტუხელმა გასულ სეზონზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს შეეძლო უკეთესი სეზონი ჰქონოდა, რადგან მათ ამის პოტენციალი ჰქონდათ, თუმცა ყველაფერი სხვაგვარად განვითარდა:

— სამწუხაროა, რომ ტიტულების მოგება ვერ მოვახერხეთ, მაგრამ ჩვენ უნდა მომავალზე ვიფიქროთ და, შესაძლოა, რამდენიმე ტრანსფერის განხორციელება დაგვჭირდეს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ბიჭი გოგოს ეკითხება:

— გოგონი, სიყვარულით ფულისთვის კავდებით?

— არა!

— შესანიშნავია! თორემ ერთი თეთრიც აღარ დამრჩა.

•••

ქმარი ცოლს ეკითხება:

— შენ ფულის გარდა სხვა რამე გაინტერესებს?

— კი.

— რა?

— სად არის ფული?

•••

ღამეა. საწოლი ოთახიდან გაბრაზებული მამაკაცის ხმა ისმის:

— ამ კვირაში მარტო წარბები არ გტკივებია!

•••

შვილი დედას ეუბნება:

— დედა, სვირინგის გაკეთება მინდა.

— მიდი, შენ ქმარი მოიტანე, მამა გაგიკეთებს კარგ სვირინგს!

•••

მოსამართლე ბოროტმოქმედს ეკითხება:

— რისთვის ცხოვრობთ, სასარგებლოს რას აკეთებთ საზოგადოებისთვის?

— როგორ თუ რას, ბატონო მოსამართლევ? მე რომ არა, ხომ არ გექნებოდათ სამსახური?!

•••

გაჭიანურებული კამათით თავმობეზრებული ქმარი ცოლს ეუბნება:

— მოდი, ნუ ვიკამათებთ და მშვიდად ვიმსჯელოთ...

— არა! ყოველთვის, როდესაც რაიმეზე მშვიდად ვმსჯელობთ, ბოლოს მართალი ყოველთვის შენ გამოდიხარ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მაკა რაზმაძე ზვიად რატიანს მუქარაში ადანაშაულებს



ჟურნალისტი მაკა რაზმაძე პოეტ ზვიად რატიანს მუქარაში ადანაშაულებს:

— მივმართავ ჩემს კოლეგებს — ჟურნალისტებს: რას ნიშნავს, როცა ჟურნალისტური საქმიანობის გამო ადამიანი გემუქრება? ასევე მივმართავ ლიბერალური ღირებულებების დამცველ ადამიანებს: როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა საქმიანობის გამო გვაგინებენ, სიძულვილის ენით გვემუქრებიან და პირადი ცხოვრების — არარსებული და მისივე მოგონილი — ამბის გამოფენით გვაშანტაჟებენ? ეს რას ნიშნავს? ეს ყველაფერი გააკეთა პოეტად ცნობილმა და სინამდვილეში თურმე ბინძურმა ჭორიკანამ და მატყუარამ ზვიად რატიანმა, რომელზეც, როცა სცემეს, ათასი გადაცემა გვაქვს გაკეთებული „იბერიაში“ მე და ჩემს მეგობრებს სოლიდარობის ნიშნად. ჯერ არ მინდა გამოვფინო ის მუქარები, უშვერი გინებები და ზიზღის ენით მოწერილი სმს სქრინები, რაც მან იკადრა. არ ვიცნობ, არ მყავდა მეგობრებში, შემომივარდა და სინამდვილეში, სადაც მისი ადგილია, ანუ სპამში აღმოვაჩინე მისი სიძულვილით, შანტაჟით და მუქარებით დაწერილი გზავნილი. როცა მიხვდა, რომ ამ ტყუილს ვერ დაამკვიდრებდა, მერე თვითონვე დამბლოკა. რაც იკადრა ამ ბინძურმა კაცმა თუ არაკაცმა, არ მინდა დავდო და რომ გამოვფინო, ზუსტად ვიცი, გამარჯობას აღარ ეტყვით აღარავინ, ვინც იცნობთ.

ჯერ სხვას არაფერს დავწერ. ვნახოთ აბა, ჩამოვალ და მოგხედავო და ველოდები, ჩამოვიდეს და მაგებინოს პასუხი იმის გამო, რომ არ მოსწონს ჩემი გადაცემები. ანუ, მისი ლექსები ვისაც არ მოსწონს, ამ ლოგიკით მასაც უნდა მოუგონონ საშანტაჟო ტყუილები ვითომ პირადი ცხოვრების დეტალებით და ფიზიკური განადგურებითაც დაემუქრონ?

როგორ მოვიქცეთ ასეთ დროს ლიბერალურ ფასეულობებს ამოფარებული ფაშისტებისგან თავის დასაცავად?

პ.ს. თურმე ვის ვიცავდით. მისგან დასაცავი გავხდი.

## თამუნა მუსერიძე დახმარებას ითხოვს




ტელეწამყვანი თამუნა მუსერიძე დახმარებას ითხოვს და მის თანამოაზრეებთან ერთად დაარსებული არასამთავრობო ორგანიზაციის „ვეძებ“ საქართველოს ბანკის ანგარიშზე მინიმალური თანხის ჩარიცხვას საზოგადოებას სთხოვს:

— ყველას გთხოვთ დახმარებას. ძალიან მიჭირს და მიმძიმს ახლა ამის დაწერა, მაგრამ სხვა გზა ფიზიკურად აღარ დაგვრჩა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ კომპანიებთან მეგა ბოსი და საკონდიტრო ითისთან წლებია არა მარტო საქმიანი, არამედ მეგობრული ურთიერთობაც გვაკავშირებს. ამას ჯგუფის სახელით ვწერ და სწორედ ჩემი ჯგუფია მძიმე რეალობის წინაშე.

ალბათ ყველამ იცით, რომ ჩვენი გადაცემა „ვეძებ“ უკვე რამდენიმე თვეა სილქ უნივერსალის ეთერში გადის. ტელევიზიამ სრულიად უსასყიდლოდ დაგვითმო ტექნიკური ჯგუფი, სტუდია, დეკორაცია, სატელევიზიო დრო და აპარატურა და უდიდესი შემართებით გვეხმარება. თუმცა ეგრეთ წოდებული „გარე ხარჯების“ ანაზღაურება ზემოთ ჩამოთვლილი კომპანიების დირექტორმა ლევან ჯავახიშვილმა აიღო საკუთარ თავზე, სხვა სპონსორებისთვის უარი გვათქმევინა, რადგან ექსკლუზივი უნდოდა და სეზონის ბოლომდე აღგვითქვა დახმარება. თუმცა, სამწუხაროდ, დაპირება დაპირებად დარჩა. კომპანიის მფლობელმა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გადაწყვიტა, რომ ხელფასები არ მოგვცეს, რომ ოთხი თვის ნამუშევარი ხელფასები არ ჩარიცხოს, რომ ამდენი იმედით აღსავსე ადამიანი გაურკვევლობაში დატოვოს.

ჩემი თანამშრომლები აგერ უკვე მესამე თვეა, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, ვერ იღებენ ხელფასს. ისინი ამ თვეების განმავლობაში სრულიად უსასყიდლოდ, უანგაროდ და საკუთარი ხარჯებით დადიან სამსახურში და გადაღებებზე. მოგეხსენებათ, რამხელა სამუშაოს ჩატარება გვიწევს. სამწუხაროდ, ჩვენ ყველანაირი რესურსი ამოვწურეთ. ფიზიკურად აღარ გვაქვს იმის ძალა და ფინანსები, რომ ათიათასობით ადამიანი ერთმანეთს დავაკავშიროთ და ბიოლოგიური ნათესავების მოძებნაში დავეხმაროთ.

მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით, გვერდით დაგვიდექით, დაგვეხმარეთ თანხის შეგროვებაში, რომ ივლისის ბოლომდე ჩაწერილი გადაცემები მაინც გავიდეს ეთერში. ეს ხომ მხოლოდ გადაცემა არ არის. ეს არის სოციალური პროექტი, რომლის არსებობაც თითოეულ ჩვენგანს სჭირდება.

## წიგნის საერთაშორისო ფესტივალი იწყება




26 მაისს თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი იწყება. ექსპო ჯორჯიაში საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით, რიგით 24-ე საერთაშორისო ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნება.

წელს ფესტივალი სრულად უბრუნდება ტრადიციულ ფორმატსა და მასშტაბებს: მე-11 პავილიონში წარმოდგენილი იქნება როგორც ქართველი, ისე უცხოელი გამომცემლებისა და წიგნთან დაკავშირებული ორგანიზაციების მთავარი სტენდები, ხოლო მე-6 პავილიონში თავმოყრილი იქნება საბავშვო წიგნები და საბავშვო აქსესუარები.

ფესტივალის ფარგლებში მოეწყობა როგორც მთავარი სცენა ლიტერატურული ღონისძიებებისთვის, ასევე საბავშვო შემეცნებით-გასართობი სივრცე ფესტივალის პატარა დამთვალიერებლებისთვის.

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი სლოგანით — „საქართველო მხარს უჭერს უკრაინას“ სრულ მხარდაჭერას გამოუცხადებს უკრაინას და უკრაინის ლიტერატურულ ფესტივალ „წიგნის არსენალთან“ პარტნიორობით, ფესტივალის ფარგლებში, უკრაინელი ილუსტრატორების მიერ რუსეთ-უკრაინის ომის თემაზე შექმნილი ილუსტრაციების გამოფენას გამართავს.

ფესტივალის გამორჩეული ნაწილია ფოკუს ქვეყნის პროგრამა. 2017 წელს ფესტივალის პირველი ფოკუს ქვეყანა იყო ნორვეგია. ფოკუს ქვეყნები სხვადასხვა წლებში იყვნენ გერმანია, ფინეთი, თურქეთი. პანდემიიდან გამომდინარე, გასულ წელს ფოკუს ქვეყნის პროგრამა ვერ განხორციელდა, ამიტომ აღნიშნული სტატუ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## ლევან სონღულაშვილი: „უმრავლესობა საერთო ტოქსიკურ წვენში იხარშება“



მხატვარი ლევან სონღულაშვილი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ სოციალურ ქსელებში უმრავლესობა საერთო ტოქსიკურ წვენში იხარშება:

— წლებია „ფეისბუქი“ ერთგვარ სოციალურ თავშესაფრად იქცა, ამ ქსელში კი, ჩაკეტილი წრე შეიკრა, სადაც უმრავლესობა საერთო ტოქსიკურ წვენში იხარშება. იშვიათად რაიმე საინტერესოს და ღირებულს წააწყდე, ძირითადად, აგრესიის გამოხატვის ტრამპლინად იქცა, ჩამოყალიბდა სიძულვილის ენა, გაჩნდნენ „ბაბლები“ და კლანები, რაც, ცხადია, ვირტუალური სივრცის მიღმაც არსებობდა.

ამ სურათისგან დისტანცირებისას, ნათლად ხედავ, რომ ინტელექტუალებიც და ე.წ. „ორკებიც“ გვერდიგვერდ დგანან და ამ ჩაკეტილ წრეს დღითიდღე კრავენ, ვიდრე არღვევენ. სამწუხაროდ, „დატირება“ უკეთ გამოსდით, ვიდრე „დაგულვა“. და ამ, არაფრისმომცემ, დამთრგუნველ თამაშში გართულნი, კარგავენ სასიცოცხლო დროს და ენერგიას, სანამ ნიჰილიზმამდე არ მიიყვანენ ადამიანს, რათა კვლავ დაიტირონ, ახალი მსხვერპლის მოლოდინში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



25 მაისისათვის

**ვერძი** — საქმე მთელი გულით აკეთეთ. იყავით თვითმყოფადი. ახლობლებისაგან მეტი მხარდაჭერა გჭირდებათ. **კურო** — დღეს მთავარია, ყურადღებით იყოთ და შეცდომა არსად დაუშვათ. მხოლოდ საკუთარი თავის იმედი იქონიეთ. **ტყუპები** — კეთილისმყოფელი დღეა. ფიზიკური დატვირთვა თქვენს ჯანმრთელობაზე დადებითად იმოქმედებს. **კირჩხიბი** — მიუხედავად მოულოდნელი ცვლილებებისა, მატერიალური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. საოჯახო საქმეებს ნუ დაივიწყებთ. **ლომი** — ნებისმიერ საქმეში არასტანდარტული მეთოდები გამოიყენეთ. ემოციური თვალსაზრისით რთული დღეა. **ქალწული** — უძრავ ქონებასთან დაკავშირებით პრობლემები იქმნება. კრიტიკული სიტუაციების ალბათობა იზრდება. **სასწორი** — ილუზიები, უნდობლობა, მოტყუება დღევანდელი დღის თანმდევია. ერიდეთ კომერციულ საქმიანობას. **ღრიანკალი** — ენერგიულად ხართ. სასიცოცხლო პოტენციალი დიდია. გარშემომყოფებს შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ. **მშვილდოსანი** — ყოველგვარი კამათი, საქმის გარჩევა მაქსიმალურად აიცილეთ თავიდან. ეს დღე მშვიდ გარემოში გაატარეთ. **თხის რქა** — სერიოზული პროვოკაციებისთვის მზად იყავით. ასევე მოსალოდნელია რომანტიკული გატაცება. **მერწყული** — ეს დღე დიდი შინაგანი თავისუფლების შეგრძნებით გამოირჩევა. ფული გონივრულად ხარჯეთ. **თევზები** — დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. ავტორიტეტს გაუფრთხილდით. პრობლემების მოგვარებას რთულად, მაგრამ მაინც მოახერხებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ჯალათის სახელწოდება ძველად საქართველოში; 2. აეროპორტი ბუქარესტში; 3. მოდუღებული ყურძნის წვენი; 4. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 11. ინგლისელი მწერალი დების გვარი; 12. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 14. მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 16. საკოლექციო ღვინოების საცავი; 17. ისტორიული ქართული სამეფო; 19. ლითონის დაშლა ქიმიური პროცესების შედეგად; 21. შიკრიკი, ამბის მიმტანი; 22. მრავალშრიანი ფანერა.

**თარაზულად:** 6. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 7. აშშ-ში გავრცელებული კატისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 8. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 9. პისტოლეტის ჩასადები ტყავის ბუდე; 10. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო; 13. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 15. საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა; 18. შოტლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 21. ძრავიანი ველოსიპედი; 23. წალკის ძველი ქართული სახელწოდება; 24. წვრილად დაჭრილი, გამხმარი თამბაქოს ფოთლები.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

